პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ხ. ს. რ

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24,
ტელეფონი 5 - 43.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ერვონცებით.

№ 238 ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400,000 მან. № 238

— საოკუპაციო ოლქში და ბერლინში უსურსათობის ნიადაგზე მოხდა არეულობა, რომელშიც ჩაერია პოლიცია.

— გერმანიაში შექმნილი მდგომარეობა ძლიერ აშინებს საფრანგეთის რადიკალურ წრეებს,

— ყვითელი პროფკავშირები მხარს უჭერენ სამუშაო დღის გადიდებას.

— საფრანგეთის ბანკებს განზრახული აქვთ რუსეთ-საფრანგეთის ბანკის გახსნა

— დაარსდა სპეციალური კომისია მეფის ვალების გამოსარკვევად.

გერმანია „ოქტომბრის“ მოლოდინში

გერმანიის საზოგადოებრივი ძალები დიდი სოციალური შეჯახების სამზადისში არიან ჩართული. ყველა მოელის გადამწყვეტ მომენტს, ყველა გრძნობს მის ძლიერ სუნთქვას. მოწინააღმდეგეები ირაზმებიან, მოკავშირეებს ეძებენ, პოზიციებს იკავებენ, [illegible] ძალებს ზვერავენ. ძალაუნებურათ თვალში გეცემათ ანალოგია რუსეთის ოქტომბრის დღეებთან. უმთავრესი დამახასიათებელი მოვლენა ამ რიგის არის შემთანხმებელი პარტიების გავლენის დაცემა მუშათა მასებში. ასე იყო ოქტომბრის წინ რუსეთში — იგივე მეორდება დღევანდელ გერმანიაში. „ფორვერტსი“, ოფიციალური ორგანო გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა, საჯაროთ აღიარებს, დღევანდელი რადიოს თანახმათ, რომ სამი მეოთხედი პარტიული ორგანიზაციებისა ოპოზიციაში უდგია ცენტრალურ კომიტეტს დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გაზეთი ამცირებს მოწინააღმდეგეების ძალას.

დამახასიათებელია აგრეთვე რამოდენიმე მთავრობის არსებობა **ფაქტიურათ:** დაწყებული მუშათა მთავრობებიდან საქსონიაში და ტიურინგიაში (რომელთა გზით ამოძრავდა უკვე ბრაუნშვეიგიც), გაგრძელებული „შემთანხმებელი“ კოალიციონური მთავრობით და გათავებული ფაშისტური დიქტატურით ბავარიაში. რამოდენიმე ფაქტიურ მთავრობას ჰქონდა ადგილი ოქტომბრის წინა დღეებში რუსეთშიაც.

მაგრამ ძალთა დარაზმვა ახასიათებს არა მარტო შინაურ ცხოვრებას გერმანიისას. მისი საზღვრების გადაღმაც დიდი ფაცა-ფუცია. გერმანიის ფაშისტები დელეგაციას აგზავნიან თავიანთ იტალიელ მეგობრებთან: განსაცდელის ჟამს დაგვეხმარეთ და მაგიერს გიზღობთო. ინგლისის პრემიერი საჯაროთ აცხადებს: დგება მომენტი, როდესაც აუცილებელია „რისკის“ გაწევაო და სხვა.

ამნაირათ ირაზმებიან ძალები რევოლიუციისა და რეაქციის არა მარტო გერმანიის შიგნი, არამედ მის გარეთაც, მთელს ევროპაში. ყველა გრძნობს, რომ გერმანიაში დატრიალდება ამბები, რომლებიც შესცვლიან ევროპის დღევანდელ სახეს და სულ სხვა ძალებს გამოიყვანენ ისტორიის ასპარეზზე.

ბუნებრივია ამიტომ, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასაც, რომელიც კარგათ გრძნობს გერმანიის რევოლიუციის მოახლოებას და რომელსაც შეგნებული აქვს მისი გამარჯვების თუ დამარცხების მნიშვნელობა როგორც თავისთვის, ისე მსოფლიო პროლეტარიატისთვის, ზომებს იღებს ყოველმხრივ, რომ მზათ იყოს გადამწყვეტი ჟამისთვის და დაიცვას საბჭოთა კავშირი, დაიცვას გერმანიის და მასთან ერთათ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია იმ საფრთხისაგან, რომელიც მოელით მათ ძველი ქვეყნის შავი ძალებისაგან.

ვინ არ იცის, რომ საბჭოთა სახელმწიფოებს ომი არა სურთ, ვინ არ იცის, რომ ჩვენი კავშირია ერთათ ერთი დარაჯი მშვიდობიანობის, მაგრამ ამ მშვიდობიანობას ჩვენ ვერ ვიყიდით ჩვენი განადგურების და რევოლიუციის მთელი მონაპოვრის დაკარგვის ხარჯზე. ხოლო ასეთ მდგომარეობაში შეიქნებოდა ჩავარდნილი ჩვენი რესპუბლიკების კავშირი რეაქციის გამარჯვების შემთხვევაში გერმანიის მომავალ რევოლიუციაში.

ამიტომ სიფხიზლე და მზადება ყოველგვარი შესაძლებლობისათვის, მზადება შეუწყვეტელი, ერთი წუთის დაუკარგავათ — აი რა მართებს საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატს და მასთან ერთათ საქართველოს მუშათა კლასს და მის პარტიას.

წერილები გერმანიიდან

სამოქალაქო ომის მოლოდინში

გიჟი ინჟინერი

ჩვენ, კომუნისტები, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ არ ვაღიაროთ კაპიტალისტური სისტემის ძალა, უნარი, ამისი დადებითი მხარეები. გიჟი ინჟინერი საუცხოვო სიმბოლოა თანამედროვე კაპიტალიზმის. ის მშვენიერი ამშენებელია ხიდების, წყალსადენების, რთული მანქანების; ის მშვენივრათ მუშაობს, მაგრამ ამ სამუშაოს შესრულების დროს საშინლათ ყვლეფს მუშა-ხელს. ხშირად თავისი სენით შეპყრობილი, ის ისეთ შეცდომებს უშვებს, რომელიც განადგურებას უქადის მთელი მისი შემოქმედების ნაყოფს. ევროპის კაპიტალიზმი გიჟი ინჟინერია.

გერმანიის ბურჟუაზიამ ამ რამდენიმე ხნის წინათ მეორეთ წააგო ომი. პირველმა ომმა, რომელიც დაიწყეს იმპერიალისტებმა, საშინელი ნგრევა გამოიწვია ევროპაში, მან გამოიწვია რუსეთის რევოლიუცია და შემდეგ, 1918 წელში ნოემბრის რევოლიუცია გერმანიაში. მეორე, ეკონომიურმა ომმა რურში ბურჟუაზიული საფრანგეთი და გერმანია დააყენა ოქტომბრის რევოლიუციის წინაშე.

რატომ?

იმიტომ, რომ ფინანსიურ და სამრეწველო ოლიგარხიას რეინის იქითა მხარეს არაფრის დათმობა არ სურდა თავის ფრანგ მეტოქისათვის იმ სარგებლობიდან, რომელსაც აძლევდა მას შრომის ექსპლოატაცია იმიტომ, რომ ე. წ. „საფრანგეთის ლითონის მრეწველთა კომიტეტს“ სურდა განემტკიცებია სრული ჰეგემონია გერმანიის მძიმე ინდუსტრიაზე, იმიტომ, რომ იმპერიალისტურ საფრანგეთს სურდა განემტკიცებია თავისი პრესტიჟი.

რა ბედი ეწვევა ამ პრესტიჟს, ამ ჰეგემონიას, ყველა ამ სიმდიდრეებს, თუ ხვალ გერმანიის ქალაქებზე წითელი დროშა აფრიალდა?

შტრეზემანი ფიქრობს ამაზე და საშინელება იპყრობს მას. ბატონი პუანკარე კი თავსაც არ იწუხებს, ის მდგომარეობის ბატონია, როგორც ნაპოლეონი 1918 წ.

გიჟი ინჟინერი! — ვამბობ მე.

არჩევანი.

გერმანია კაპიტულიაციაზე წავიდა; რომ არ დაეკარგათ ერთი კაპეიკიც კი თავისი ჯიბიდან; გერმანიის კაპიტალისტებმა მიჰყიდეს საფრანგეთის იმპერიალიზმს მშიერი მუშური გერმანია, რომელსაც ხელფეხი შეკრული აქვს.

მაგრამ შესაძლოა უკვე გვიანი იყოს.

პასიური წინააღმდეგობა კატასტროფით დამთავრდა, მან გაანადგურა გერმანიის ხაზინა, მან გაავსო იმათი ჯიბეები, რომლებმაც ის შექმნეს.

ბრძოლა დამთავრდა.

ხელში შეგვრჩა — გაკოტრება, კატასტროფის გამომწვევი ხალხი, რეაქცია იარაღით ხელში ხალხისათვის მოპარულ ოქროს ტომრებთან, მღელვარე მასები, რომლებიც ექვემდებარებიან ისტორიის მსვლელობას და მიჰყვებიან აზვირთებულ ტალღას,

ბატონი ჰილფერდინგი და შტრეზემანი შეაჩერებენ მას?

შესძლებენ კი ისინი 3 ან 5 თვის განმავლობაში მარკისთვის თუნდ მცირეოდენი სიმტკიცის მიცემას? შესძლებენ ისინი 30 მილიონი მშიერის გამოკვებას? შესძლებენ თუ არა ისინი გაუმკლავდენ ან თავის სასარგებლოთ გამოიყენონ აუცილებელი სამოქალაქო ომი? შესძლებენ თუ არა დააკმაყოფილონ საფრანგეთის იმპერიალიზმი ისე, რომ თავი არ მოიკლან?

თუ შესძლებენ, მაშინ გიჟი ინჟინერი გააგრძელებს თავის მუშაობას.

თუ არა და — რევოლიუცია თუ გინდ ხელში გვეჭიროს!

ორივე შემთხვევაში შეიძლება პუანკარემ მოიგოს, მაგრამ კაპიტალისტური ევროპის შესახებ კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის იქნება საფრთხის წინაშე დაკარგოს თავისი თავი.

ორ დიქტატურის შუა.

დიდი კოალიცია, — „გერმანიის დემოკრატიის უკანასკნელის ხსნა“, — კაპიტულიაციის გამო ისეთივე არა პოპულიარული გამოდგა, როგორც კუნოს კაბინეტი საფაბრიკო კომიტეტების მიერ მისი განდევნის წინა ხანებში. სახალხო და დემოკრატიული პარტიები და კათოლიკური ცენტრი ისევე განიცდიან შინაგან კრიზისს, როგორც სოციალ-დემოკრატია. ბ. შტრეზემანმა, პასიურ წინააღმდეგობის ოფიციალურათ გაუქმებასთან ერთად, განაცხადა, რომ ის საჭიროებისთანავე დიქტატურას მიმართავს. ამის გამო გაზეთებმაც დააგდეს ხმა, რომ მოქალაქე ნოსკე, — დიქტატორი, რომელზედაც ოდესღაც ოცნებობდა მაიორი ერხარდტი, ჩამოვიდა ბერლინში მთავრობის მემაურთან მოლაპარაკების გასამართავათ.

საუცხოვოა, მაგრამ... ვისი წინააღმდეგ არის განზრახული ეს დიქტატურა? ნუთუ ფაშიზმისა და მსხვილი მრეწველობის წინააღმდეგ, რომლის გაწრთვნილ რწმუნებულს თვით შტრეზემანი წარმოადგენს? — სრული შეუსაბამობაა. მაშ, პროლეტარიატის წინააღმდეგ? მაგრამ მოქალაქე ნოსკეს არ შეუძლია გაიმეოროს 1919 წლის თავისი ნაამაგარი. მაშინ მას შეეძლო შეეიარაღებინა მუშათა კლასის წინააღმდეგ რეაქციონური ნაძირალნი, აემოძრავებინა სხვადასხვა ერხარდტები, ლიუტვიცები, ჰოფმანები. მაგრამ, რომ ეს მან ეხლა სინჯოს ეს იქნებოდა მისი პარტიის დაუყონებლივი აღსასრული და მცირე ხნის შემდეგ, მისი რეჟიმის დამარცხებაც, რადგან არც მუშათა მასები დაზოგავენ მას და არც ლიუდენდორფი შეიწყნარებს „ნოემბრის რევოლიუციის ჩამდენ არამზადებს“.

სოციალ-დემოკრატიულ მასების მარცხნით გადახრის ნიშნები სულ უფრო მრავლდება. ბერლინის საოლქო სოციალ-დემოკრატიული კონგრესი რამოდენიმე ხნის წინეთ (25 სექტემბრის „ფორვერტს“-ში გამოქვეყნებული რეზოლიუცია) აღნიშნავდა კოალიციონურ პოლიტიკის გაკოტრებას და კლასობრივ ბრძოლისაკენ დაბრუნების საჭიროებას. იმავე კონგრესმა დღის წესრიგში დასვა წითელ საქსონიის სოციალისტურ საბჭოს თავმჯდომარე ცეიგნერისთვის თანაგრძნობის გამოცხადების ვოტუმი და მოწონება მისი ენერგიული კამპანია „რეიხსვერის გაწმენდისათვის“.

დიდ კოალიციას არ ჰყავს არც თავისი ბურჟუაზიული მასები (რომლებიც არ იხდიან გადასახადებს და მოელიან მარჯვნიდან რამდენათაც შეიძლება უფრო მაგარ შემოტევას) და არც სოციალ-დემოკრატიული მასები, რომლებიც სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ კომუნისტები მართალნი არიან, აქ თეთრი ბავარია ირაზმება, იქ წითელი საქსონია მოქმედობს და ამ ორს შუა ჰილფერდინგი და შტრეზემანი ახალ ქაღალდის ფულებს სჭრიან.

ერთი ჯურის დიქტატორები — ფონ-კარი და ჰესლერი.

გერმანია ერთ და იმავე დღეს დაჯილდოვებული იყო ორი დიქტატორით, რომლებსაც წილათ ხვდა ერთი და იმავე როლის შესრულება: ფონ-კარით — ბავარიაში და ჰესლერით — ბერლინში. ბავარიის მთავრობამ უეცრათ დაადგინა ფონ-კარის საგანგებო, დიქტატორულ უფლებებით აღჭურვა. რამოდენიმე დღის განმავლობაში მოელოდენ ბავარიის გამოსვლას; მიუნხენის რეაქციონური პროფაშისტური მთავრობა თავისი წინდახედულების ზომებს იღებს. ამ ამბებით ფრიად დაინტერესებული „ფორვერტსი“ ბევრ სიმართლეს ამბობს. განსხვავება მიუნხენის კაბინეტისა და ბავარიის ულტრა-ფაშისტების შორის მდგომარეობს მხოლოთ შემდეგში: უკანასკნელნი ფიქრობენ, რომ უკვე დადგა დრო „ბერლინში გაძლიერებულ ბოლშევიზმზე გადამწყვეტ თავდასხმისათვის“. პირველნი კი ფიქრობენ, რომ ჯერ-ჯერობით უმჯობესია მოცდა. პრინციპში კი ორივენი თანახმა არიან.

აი რატომ გამოიწვია მთელს ქვეყანაში განგაში საალყო წესის გამოცხადებამ და ფონ-კარის დანიშვნამ ბავარიაში. ფონ-კარი ძველი „ანტი-სოციალისტ-ფანატიკოსია“ („ფორვერტს“-ი); დაიმორჩილებს იგი ჰიტლერს და ლიუდენდორფს თუ ყველანი შეთანხმდებიან, სულ ერთია, ორივე შემთხვევაში ბავარია წარმოადგენს რეაქციის ციხე-სიმაგრეს, რომლიდანაც უნდა მოველოდეთ პირველ შემოტევას.

რეიხსმთავრობამ კი (სრულიათ სახელმწიფოს მთავრობამ) ამის საპასუხოთ საალყო წესები გამოაცხადა მთელი გერმანიის ტერიტორიაზე. გაუქმებულია ყოველგვარი კონსტიტუციონური გარანტიები.

პოლიტიკურ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ გაძლიერებულია სასჯელი ზომები. სახელმწიფო ღალატის, აჯანყების, ამბოხების, ლეგალურ ძალასთან შებრძოლების წინააღმდეგ გამოცხადებულია სიკვდილით დასჯა. ბატონ ჰესლერს, სამხედრო მინისტრს სრული უფლება აქვს დაუყოვნებლივ გამოიყენოს ეს დეკრეტი.

ამბობენ, რომ ეს არის ბავარიის საკითხით გამოწვეული რესპუბლიკის დაცვის ზომა. და აქ ზომის განხორციელება სოციალ დემოკრატ მინისტრებმა და მოქალაქე ებერტმა ბ. ჰესლერს დაავალეს. დიაღ დაავალეს ჰესლერს, — რეიხსვერის ფაშისტურ წინამძღოლთა ოფიციალურ შირმას, მათ მეგობარს და თანამშრომელს. ჰესლერს, რომლის მარჯვენა ხელია ფონ სექტი. ასეთი გულბრყვილობა საეჭვოა. რეაქციონური რეიხსვერი, რომელიც დარაზმულია საიდუმლო ნაციონალისტურ ორგანიზაციებში ჰესლერის დიქტატურას ქვეშ, არსებითად გაილაშქრებს მხოლოდ, მუშათა კლასის წინააღმდეგ. საალყო წესებისათვის გამოქვეყნებულ დეკრეტის ყველა დადგენილებები გაცილებით უფრო ადვილათ კომუნისტების წინააღმდეგ გამოიყენება, ვიდრე ბავარიის ფაშისტების წინააღმდეგ. ბატონ შტრეზემან — ჰილფერდინგის ეს უკანასკნელი, სამოქალაქო ომის აცილებისაკენ მიმართული ცდა არსებითად ხოლოდ აძლიერებს „დაუყოვნებლივ“ რეაქციის შანსებს. დიაღ, სწორეთ რომ „დაუყოვნებლივ“ შანსებს, რადგან, მუშათა კლასის ძალების არსებულ მდგომარეობაში, უკანასკნელი სიტყვა, რასაკვირველია, მუშათა კლასს ეკუთვნის.

ფაშისტების პირველი ნაბიჯები.

ბავარიის საბჭოს პრეზიდენტმა ბატონმა ფონ-კლინიგმა წასულ კვირას წარუდგინა საიმპერიო მთავრობას აშკარა ულტიმატუმი.

23 სექტემბერს „გერმანულ სალამოზე“ კაპიტანი დ. გეისსი დაახლოვებით შემდეგს ეუბნებოდა თავის მსმენელებს: „დადგა დრო თოფების, ტყვიისმფრქვეველების და ზარბაზნების გასანაწილებლად .. და თუ ჩვენ განვიცდიდით ცხენების ნაკლებობას, თვით ჩვენ შევებმებით და გავსწევთ ზარბაზნებს!“.

„ბავარიის მუშტი გადასჭრის ბერლინში გერმანიის თავისუფლების პრობლემას“.

ლიუდენდორფმა მოიწონა ეს სიტყვები.

ფაშისტების ორგანოს „ფოლკიშერ ბეობახტერ“-ის ნომერს ამ დღეს პირველ გვერდზე ასეთი ანშლაგი ჰქონდა:

„შევიარაღდეთ სამოქალაქო ომისათვის“.

და ეს ლითონი სიტყვები არ არის. 22 სექტემბერს ჰიტლერი ახდენს „თავისი ჯარების“ მობილიზაციას, 25 სექტემბერს პოლიცია იტუსაღებს „საეჭვო“ რკინისგზელებს, იმავე დღეს ფაშისტები თავს ესხმიან მუშებს, მძიმეთ დაიჭრა ერთი მუშა. ჩხრეკა-დაპატიმრება, რომელსაც თან სდევს საშინელი მოპყრობა (იტალიურად) ხშირდება ბავარიაში.

22 სექტემბერს „ბავარიის მეორე კუთხეში, ნიურენბერგში, თავს იყრის 16.000 ფაშისტი, რომელთა მობილიზაცია მოახდინა ფაშისტურმა ორგანიზაციამ „ოლიმპია“.

25 სექტემბერს, ლეიპციგის მახლობლად, ხდება შეტაკება ფაშისტებსა და კომუნისტებს შორის, დაჭრილია 11 კაცი.

სხვა ადგილებში გრძელდება არეულობა სიმშილობის ნიადაგზე დრეზდენში ეს საბაბს აძლევს ბურჟუაზიულ პრესას დაიწყოს კამპანია იმის სასარგებლოდ, რომ მთავრობამ რეიხსვერის საშუალებით ბოლო მოუღოს აქ არეულობას. ზემო-სილეზიაში პოლიცია იარაღს მიმართავს დემონსტრანტების წინააღმდეგ.

რეიხსვერი „მზად არის ყოველგვარი მოულოდნელობისათვის“. მიუხედავათ ცეიგნერის მიერ გამოქვეყნებული საბუთებისა და სოციალ-დემოკრატების კომპანიისა, მინისტრი „დემოკრატი“ გესლერი რჩება რეიხსვერის სათავეში, რადგან ის სარგებლობს რეიხსვერის უფროსების და ფონ-სექტის პატივისცემით. პოლიციას დაურიგდა ბომბები და მასკები მხჩოლავი გაზების წინააღმდეგ. ბავარიის სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირი აცნობებს თავის წევრებს, რომ იმ შემთხვევაში თუ გადატრიალება მოხდა, ისინი უნდა დაემორჩილონ ბავარიის მთავრობას. ბერლინის მთავრობა კი უბრძანებს მათ, რომ დაემორჩილონ მხოლოდ მის განკარგულებებს. ფაშიზმი ამრიგათ ემზადება ებერტის რესპუბლიკასათვის კისერის მოსაგრეხათ და სურს აიძულოს გერმანიის ხალხი მიიღოს მისი პროგრამა: ებრაული მარქსიზმის მოსპობა და 10 საათის სამუშაო დღე.

დიდი კოალიცია დახმარებას უწევს ფაშისტებს თავისი ბრძოლით მემარცხენეების წინააღმდეგ. 24 სექტემბერს მან ორი კვირით დახურა „როტე ფანე“ და ყველა კომუნისტური ორგანოები ბერლინში. „ფორვეტსი“, რომ გაამართლოს მთავრობის განკარგულება, ათავსებს ცნობას ბერლინში იარაღის ფარული საწყობების აღმოჩენის შესახებ (ასეთი საწყობები, მართალია ბევრია ბერლინში) იარაღს კი ამ საწყობებს ვითომცა აწვდის საბჭოთა წარმომადგენლობის ერთ-ერთი ატაშე. ეს ხალხი უფრო ბრმა არის, ვიდრე ცბიერი, ან უფრო ცბიერი ვიდრე ბრმა.

საშინელი ამოცანაა!

ციფრები.

13-დან 19 სექტემბრამდი ფასები საშუალოდ 165 პროცენტით გაიზარდა. მუშის ოჯახისათვის, რომელიც ოთხი ხელისაგან შესდგება კვირაში საჭიროა 1.400.563.440 მარკა, მუშის რეალური ხელფასი კი ამის ნახევარია.

აგვისტოში სამრეწველო დაწესებულებების 43 პროცენტი კრიტიკულ მდგომარეობაში იყო. აგვისტოს დამლევს უმუშევართა შემადგენლობა ასეთი იყო: 7,06 პროცენტი ლითონზე მომუშავეები, 4,53 პროცენტი—ფეიქრები, 32,09 პროც., ასოთ-ამწყობები და ტანთსაცმელის ფაბრიკის მუშები. არა სრულ დღეს მუშაობენ: ლითონზე მომუშავეები—16,58 პროც., ფეიქრები—46,19 პროცენტი, ასოთამწყობები (წიგნების გამომცემლობა)—32,09 და ტანთსაცმელის ფაბრიკის მუშები—57,98 პროცენტი. ივლისიდან აგვისტომდი უმუშევართა რიცხვი ერთი-ორათ გაიზარდა. იმ მუშების რიცხვი კი, რომლებიც მთელი კვირის განმავლობაში ყველა დღეებს არ მუშაობენ, სამჯერ გაიზარდა.

7—21 აგვისტომდი ხმარებაში მყოფ ბანკნოტების (ქაღალდის ფულების) რაოდენობა 518,800 მილიონიდან 1.182 მილიარდამდი გაიზარდა. ამავე ხნის განმავლობაში ოქროს მარაგი ოცი მილიონით შემცირდა.

22 სექტემბერს ჰილფერდინგმა შესძლო დოლარის კურსი შემცირებია, მაგრამ სურსათ-სანოვაგეზე და სხვა საქონელზე ფასებმა არ დაიკლო. 15 დან 21 სექტემბრამდი საბითუმო ვაჭრობაში ფასებმა 148 პროცენტით აიწია.

ვის აძრობენ ტყავს?

ღარიბებს.

საგანგებო კომისარი, ბ. ფელინგერი, რომელსაც დავალებული ჰქონდა უცხოეთის ვალიუტის კონფისკაცია, ართმევს ყველაფერს ქუჩებში და კაფეებში. ქუჩებში ვალიუტის ჩამორთმევამ მისცა სახელმწიფოს 16.000 მარკა ოქროთი.

ფრთხილათ მგზავრო, რომელსაც ჯიბეში გაქვს, შეიძლება ერთადერთი დოლარი!

ბანკები კი თავისუფალია.

ქ. ალბერტ.

ბერლინი, 28 სექტემბერი.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

გერმანიის ამბები

ბრძოლა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის: გრძელდება მუშათა ორგანიზაციების და პროლეტარული თავდაცვის რაზმების დევნა. მუშები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ ასეთი რაზმების შექმნისათვის.

მღელვარება უსურსათობის ნიადაგზე: საოკუპაციო ზონაში და ბერლინში უსურსათობის ნიადაგზე მოხდა არეულობა. პოლიციამ იარაღს მიმართა არეულობის ჩასაქრობად.

შემთანხმებელთა გაკოტრება: ყვითელი პროფკავშირები მხარს უჭერენ სამუშაო დღის გადიდების საკითხს. 30 დამოუკიდებლებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს არ უჭერენ სოციალ-დემოკრატების უკანასკნელ პოზიციას.

გერმანიის ამბების გამოძახილი: გერმანიის უკანასკნელი ამბები დიდ საშიშროებას იწვევენ საფრანგეთში.

„დიდი კოალიციის“ აღდგენის შემდეგ

შტრეზემანის გამარჯვება სტინესის ჯგუფზე.

ლონდონი. 14 ოქტომბერი. „დეილი მეილის“ ბერლინის კორესპონდენტი გერმანიის რეიხსტაგის მიერ მთავრობისათვის უფლებების გაფართოების კანონ-პროექტის მიღებას სთვლის **შტრეზემანის გამარჯვებად მსხვილ მრეწველთა ჯგუფზე,** რომელსაც სტინესი მეთაურობს და რომელთაც ეკუთვნით გერმანიის ხალხის დოვლათის დიდი ნაწილი.

ვესტფალიის მსხვილ მრეწველთა სახელით სტინესმა მიმართა შტრეზემანს წერილით, რომელშიაც მოითხოვს ანაზღაურებას სარეპარაციო კომისიისათვის ნახშირის მიწოდებისათვის. შტრეზემანმა უპასუხა, რომ მთავრობას შეუძლია გაიღოს სესხი მხოლოდ მუშაობის სავსებით განახლების შემდეგ.

სტინესს იმედი გაუცრუვდება.

ბერლინი. 14 ოქტ. იხილავს რა შტრეზემანის პასუხს, გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგი“ სწერს: **სტინესს იმედი გაუცრუვდება პასუხის მიღების შემდეგ,** ვინაიდან ის ფიქრობდა დაკავებულ რაიონის მრეწველთა სახელით მოლაპარაკების წარმოების რწმუნების მიღებას და არ ელოდა, რომ შტრეზემანი ასეთ უფლებას მიანიჭებდა ყველა მრეწველებს“.

მიმართვა დაკავებულ ოლქების რკინისგზელებისადმი.

ბერლინი. 14 ოქტ. გერმანიის გზათა მინისტრმა ეზერმა მიმართა დაკავებულ ოლქების რკინისგზელებს მოწოდებით — განაახლონ მუშაობა 17 ოქტომბერს.

მთავრობის ახალი ღონისძიებანი

ბერლინი. 13 ოქტომბერი. მთავრობამ გამოაქვეყნა განკარგულება **გადასახადების გადიდების და მათი ოქროზე გადაყვანის შესახებ.** მოელიან ახალ განკარგულებებს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის გაფართოების შესახებ ახალ სავალიუტო ბაზრის საქმეში და ნახშირზე გადასახადების გაუქმებას, ნახშირის მრეწველთა დაჟინებითი მოთხოვნის თანახმად.

აშკარათ აღიარება.

ბერლინი. 13 ოქტომბერი. „დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს, შტრეზემანმა განაცხადა, რომ გერმანიის მრეწველობის მომავალი დამოკიდებულია მხოლოდ სამუშაო დღის გადიდებაზე და გერმანიის მთავრობისათვის რურის და რეინის ოლქის თავისუფალი პატრონობის უფლების მიცემაზე.

ებერტი თანახმაა რეიხსტაგის გაშვებაზე.

რომი. 13 ოქტომბერი. ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ვრცელდება ხმები, რომ გერმანიის პრეზიდენტმა ებერტმა უფლება მისცა შტრეზემანს დაითხოვოს რეიხსტაგი, თუ ის არ დაამტკიცებს კანონ-პროექტს მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ.

უფლებათა გაფართოების კანონის დამტკიცება.

პარიზი. 15 ოქტომბერი. გერმანიის სახელმწიფო საბჭომ (რეიხსრატმა) დაამტკიცა კანონი მთავრობის უფლებათა გაფართოების შესახებ. კენჭის ყრის დროს ბავარიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუმცა ბავარიის მთავრობა ოპოზიციაში რჩება კანონის მიმართ, მაგრამ იღებს რა მხედველობაში არსებულ მდგომარეობას, იგი მაინც ხმას აძლევს მას.

ბრძოლა მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის

უნდა ჩააქრონ რევოლიუციონური მოძრაობა.

ბერლინი. 14 ოქტომ. რეიხსვერის სარდალმა გენერალმა მიულლერმა გაიმეორა ბრძანება პროლეტარულ რაზმების დათხოვნის შესახებ და აკრძალა მოქმედებისა და თავდაცვის კომიტეტებისა და სხვა ამგვარ ორგანიზაციების დაარსება. საქსონიის მთავრობამ განაცხადა, რომ ის უკანონოთ სთვლის ასეთ განკარგულებას, სანამ ის დამტკიცებული არ იქნება სამოქალაქო კომისრის მიერ. უკანასკნელი მოლაპარაკებას აწარმოებს მიულლერთან განკარგულების გაუქმების შესახებ.

თავდაცვის პროლეტარულ ორგანიზაციების აკრძალვა.

ბერლინი. 14 ოქტომბერი. სამხედრო სარდლობამ აკრძალა თავდაცვის პროლეტარულ ორგანიზაციების ყრილობა ხემნიცში. ცვიკაუში აკრძალულია თავდაცვის პროლეტარულ ორგანიზაციების კრება. ბადენში სამხედრო სარდლობამ განკარგულება მოახდინა თავდაცვის ორგანიზაციების დათხოვნის შესახებ; მეკლენბურგ-სტრელიცში სამხედრო სარდლობამ აკრძალა სოფლის მეურნეობის მუშების გაფიცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ციხით ემუქრებიან.

წითელ საქსონიის მაგალითით.

ბერლინი. 13 ოქტ. საქსონიის მოსაზღვრე ბრაუნშვეიგის 100 საქარხნო კომიტეტები თავის რეზოლიუციაში **მოითხოვენ სოციალ-დემოკრატიისაგან მთავრობის შექმნას კომუნისტებთან ერთად.**

შეიარაღებულ კონტრ-რევოლიუციის დიქტატურის წინააღმდეგ — შეიარაღებულ მუშათა დიქტატურა.

ბერლინი. 13 ოქტომბ. პარასკევს ბერლინში შესდგა საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების რწმუნებულთა კრება, რომელსაც 3,000 კაცი დაესწრო.

საქსონიის დეპუტატის რენნერის მოხსენებით, კრებამ ერთხმად **მიიღო რეზოლიუცია საქსონიის და ტიურინგიის მთავრობებისათვის მხარის დაჭერისა და პროლეტარიატის ერთიან ფრონტის შესახებ.** რეზოლიუცია ამბობს: „შეიარაღებულ კონტრრევოლიუციის დიქტატურას უნდა დაუპირდაპირდეს შეიარაღებულ მუშათა დიქტატურა“.

წითელი მთავრობის შექმნა ტიურინგიაში.

ბერლინი. 13 ოქტ. ტიურინგიაში **შეთანხმება სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის მიღწეულია.** კომუნისტები მიიღებენ სახალხო მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროების პორტფელებს და აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ ერთ დეპარტამენტის, ალბათ პოლიციის, დირექტორის პოსტს.

„ჩემს“ ბორიას (ამხ. ბორის ძნელაძის) ხსოვნას!

თუ როდისმე ძნელი და მწარე იყო ჩემთვის მოგონების გადმოცემა სიტყვით თუ წერით, უდროოთ დაკარგულ ახლობელ მეგობრებ-ამხანაგების შესახებ, როგორც, მაგალითად, დაუვიწყარ **ზაქარია ჩოდრიშვილის შესახებ, გენო კალანდაძეზე, სტიოპა ინწკირველზე, მიხო ბოჭორიძეზე, გიორგი თელიაზე, კეცხოველზე, საშა წულუკიძეზე** ან კიდევ **სულმნათ ეგნატე ნინოშვილ ინგოროყვაზე,** — მერწმუნეთ, — კიდევ უფრო აუტანელია დღეს ჩემთვის **საბრალო ბორიას მოგონება...** ის მწარე გრძნობა, რომ საუკეთესო ახალგაზრდა პროლეტარი რევოლიუციონერი უკვე არ არის ჩვენ შორის, ცოცხლებთა შორის, — ცეცხლს მიკიდებს...

რამდენიმე დღეების, თუ შეიძლება, კვირაზე მეტისაც, წინ მის დაკარგვისა, მე შემეძლო მისი ხილვა... ბორიას ნახვა და გადავდევი იმ იმედით, რომ შემდეგ, სპეციალურად მივალ და ვინახულებ მეოქი, რომ უფრო მეტი დიდი ხნით ვესაუბრო ძველებურად — ჩვენებურათ, როგორც უთხარი ეს **ამხ. ამირბეგოვს...** მე მეგონა, რომ ის მრავალ წლებს იცოცხლებდა ჩვენთან, თუმცა ავადმყოფი იყო, — მაგრამ მაინც იცოცხლებდა, როგორც მრავალი ჩვენი ამხანაგები — ძველი და ახალი ცოცხლობენ ასე თუ ისე, მიუხედავათ ავადმყოფობისა...

და, აჰა... ესეც!.. **ის უკვე მოგვწყდა, მოგვშორდა მეტად საყვარელი ადამიანი,** — ეს „ბავშვი“, მაგრამ ცეცხლის-მფრქვევი რევოლიუციონერი, — პროლეტარი ბორია, **ბორის ძნელაძე...**

* * *

მე მაზე ახლა მაინც, ბევრის წერა არ შემიძლია, თუმც მოგონება დიდი და დიდად საინტერესო მაქვს, როგორც მრავალ სხვა საუკეთესო მებრძოლ ამხანაგებზე... მხოლოდ **მოვალეობა,** რომ, შეიძლება, სხვას არც კი ქონდეს და არც გამოთქვას იმდენი, რამდენიც მე შემიძლია, მაიძულებს ახლავე რამოდენიმეთ **მაინც დავიკმაყოფილო ჩემი ეს მოვალეობის გრძნობა...** დიახ, ამხანაგებო, **ჩემთვის მოვალეობა,** როგორც თქვენთვის, მე მგონია, და როგორც ზედკრულ ახალგაზდა **ბორიასათვის,** — არის **მხურვალე გრძნობა,** და არა მშრალი, ბურჟუაზიის და ყველა მტაცებელთა ნაძალადევი რამ, ძალდატანება, დისციპლინის შიში...

* * *

მე ის გამეცნო ოქტომბრის შემდეგ, 1917 წლ. მაწურულში... და 1918 წ. და 1919 წლის პირველ ორს-სამ თვეში (სანამ მენშევიკები ძალით გადმოასახლებდნენ ტფილისიდან ქუთაისში) თითქმის ყოველ დღე და მრავალჯერ რამდენჯერმე დღეში, შემოდიოდა ჩემთან ტფილისში, — ზუბალოვის სახლში, — „სასამართლოს“ (სუდებნაია) ქუჩაზე, მიუხედავათ რამიშვილი-ჟორდანიას მთავრობის მხვერავების ფუსფუსისა ჩემი ბინის კარებთან...

ის მაშინ რომელღაც ტფილისის ტეხნიკურ სკოლაში იყო... მაგრამ ეს უკანასკნელი გაეცვალა მას, ოქტომბრის შემდეგ, ჩემს ბინაზე.. ცივ, ქარიან და თოვლ-ჭყაპ შემოდგომა-ზამთარში 1917—18 და 1918—19 წლებში ის თავის რუხვისფერი ძველ შინელში და უმეტეს შემთხვევაში ნახევრად-დახეულ ფეხსაცმელებში შემოდიოდა მოცინარე და კმაყოფილი ღიმილით, რომ მოახწია ჩემს ოთახს. ის რჩებოდა ხოლმე რამდენიმე საათის განმავლობაში... თან შემომიტანდა გაზეთებს და მიკითხავდა და თან ამ კითხვაში მრავალთა უმრავლეს საკითხებს მაძლევდა... ის მეუბნებოდა ერთ ხანს, რომ ის „მაძიებელია“, მას უნდა გაიგოს, — თუ საითკენაა ჭეშმარიტება... ალლო მას ჩემსკენ იზიდავდა, მაგრამ მას უნდოდა თეორეტიული დასაბუთება, რომ შესძლებოდა არამც თუ თვით დარწმუნებულიყო, არამედ ყოველ დღე და საათს სხვებიც დაერწმუნებია... ამ მხრივ მან ბევრი გააკეთა ჯერ მანამდი, სანამ „სპარტაკის“ (მაშინდელ „კომსომოლის“ ტფილისში) ორგანიზაცია მოეწყობოდა... მას თითქმის ყოველ დღე მოყავდა ახალ-ახალი ახალგაზდები ჩემთან 1918 წელს... იმავე დროს ის ეხმარებოდა ჩვენს პარტიას, რომელიც მაშინ იძულებული იყო თანდათან ღრმა იატაკ-ქვეშ ჩასულიყო („პოდპოლიე“). ეს იყო მენშევიკ-ნემცების იმპერიალისტების ბატონობის დროს ჩვენში 1918 წელს..

მას ხშირად ჯიბეები გატენილი ჰქონდა ნახევრად არა-ლეგალურ გამოცემით — ჩვენი ბიულეტენებით... მას გვერდს ამოუდგენ ამ დროის **ამხანაგი ამირბეგოვი** (ჩემი „ამირანი“, როგორც მას ეძახოდი), საბრალო **იონიძე,** უკვე დაკარგული, — დიდად თავდადებული და განვითარებული ახალგაზდა, რომელიც ტფილისის მუშის შვილი იყო და 1-ლი რაიონის პარტკომის მდივანი... და კიდევ რამდენიმე სხვა ახალგაზდები, რომლებმაც ჩაუყარეს საძირკველი დღეს ასე საიმედო და გაბედულ მრავალრიცხოვან ჩვენს „კომსომოლს“ ტფილისში, საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში...

ეს საკვირველი ახალგაზდა, 15—16 წლისა, 1918 წელს ჩვენს თვალწინ ისე გაიფურჩქნა, ისე გაიზარდა და ისე დავაჟკაცდა, რომ ყოველგვარ ორგანიზაციულ-პოლიტიკური **მახინაციებში** ჩვენს მაშინ დაწყებულ არალეგალურ მუშაობაში გასაოცარ სწრაფათ ერკვეოდა და ყოველგვარ ნდობის ღირსი იყო, ვითარცა ბევრ წლების მუშაობაში გამოჭედილი მებრძოლი...

* * *

მოვიყვან სხვა მრავალ მაგალითებს შორის მხოლოდ ერთს. ეს იყო 1918 წლის მაწურულში... ომი თითქოს თავდებოდა, — გერმანიაში რევოლიუცია დაიწყო... ბორისს და მის ახლობელ ამხანაგებს უნდოდათ შესაძლებელი „ლეგალიზმი“ ამ დროს მენშევიკების მთავრობისა ამოეწურათ... და დაიწყეს გამართვა ერთი მრავალთაგანი ჩემი საჯარო მოხსენების (ლექციის) დიდ ცირკში, ვერის ხიდთან.. თითქმის ორ კვირას აცხადებდნენ გაზეთებში ამაზე — „Великая Российская Революция по сие время, итоги и перспективы..“ და იწვევდნენ ყველა პარტიებს გაეგზავნათ სადისკუსიოთ თავიანთი პასუხისმგებელი ამხანაგები ლექციაზე...

ბორია შემოვიდა ჩემთან სიცილით და მეუბნება: იცი, მიხა, რა „პოდლეცობა“ ჩაიდინეს ახლა!..

— „რა“-მეთქი.

— „ვიყავი და ვნახე ნოე ჟორდანია პირადათ და ირაკლი წერეთელიც და უთხარი მათ: აი, ჩვენ გვინდა ჭეშმარიტება გავიგოთ, ამიტომ ვმართავთ „ცხაკაიას მოხსენებას“, — მობრძანდით და უპასუხეთ“...

— მათ გაუკვირდათ, — განა თქვენ უკვე არა ხართ გამორკვეული და მისი მომხრეო, ე. ი. ბოლშევიკ-კომუნისტიო. ბორიამ უპასუხა, — ჯერ არაო. ჟორდანიას ძლიერ გაეხარდა დაპირდა, რომ უეჭველად ან მე მოვალ და ან პასუხისმგებელ ამხანაგს გამოვგზავნიო. ირაკლი წერეთელმა კი ზრდილობიანათ მიიღო, მარა „ყური ჩამოუშვა“ და იბოდიშა, რომ ის მიდის იმ დღესვე ტფილისიდან სოხუმში, თუ არა დიდის კმაყოფილებით დავესწრებოდი „მიხას“ მოხსენებასო და სხვა და სხვა.

კიდეც შესდგა ლექცია... მხოლოდ ჟორდანიამ არ გამოგზავნა ოფიციალური წარმომადგენელი საძაგელი ბაქოელი, შაუმიან-ჯაფარიძეს და მათი ამხანაგების მკვლელი, მენშევიკი — აითლოს გარდა სხვა არავინ.

სხვა პარტიები და ჯგუფები ყველა იყვნენ და ცირკი შიგნით და გარედ სავსე იყო ხალხით... მართალია, ლექცია ნახევარზე შეგვაწყვეტინეს, ჯარის შემწეობით გარეკეს... მარა ყოველ შემთხვევაში ეფექტი და აგიტაცია დიდი იყო.. და ბორიამ მისი მეგობრებით მიაღწიეს მიზანს... ხოლო ჩემთვის პირადად მით იყო კარგი, რომ ამ არეულობაში, მე კიდევ უფრო „დიდი თევზა“ დავიჭირე: იქიდან „გავიპარე“ ღამით დილომის წვერზე — ამიერ-კავკასიის პარტიულ არალეგალურ კონფერენციაზე, სადაც ბაქოელებიც იყვნენ სავსებით წარმოდგენილნი.

* * *

კმარა, ახლა მეტის წერა არ შემიძლია.

ვისურვოთ, რომ „ჩემს ბორიას“ ხსოვნა არ დაკარგოდეს არავის ჩვენთაგანს — პარტიიდან და „კომსომოლიდან“ ერთგვარად და ის, როგორც ტიპი ჩვენი დროის რევოლიუციონერისა — თავდადებული და მამაცი, — ღვიძლი საუკეთესო შვილი დიდი ოქტომბრისა, ყოველთვის [illegible] მაგალითი და მისი სახე სულის აღმაფრთოვნებელი წარმოუდგეს ჩვენს ამხანაგებს — ძველსა და ახალგაზდებს ერთგვარად ყოველ წუთში...

* * *

„ის მოკვდა, მარა არ არის მკვდარი! — მას მოიგონებს შთამომავლობა და მას უგალობს აწ ჩემი ქნარი“ — თქვას მასზე ჩვენი და მომავალი დროის პროლეტარულმა პოეტმა...

საუკუნოთ დარჩება მისი ხსოვნა პროლეტარიატში.

მიხა ცხაკაია.

13 ოქტ., ბორჯომი.

საერთო პროგრამის საფუძვლათ **დადებულია საქსონიის მთავრობის დეკლარაცია.** პროგრამაში წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნილებები: **რეპარაციების გადახდა მრეწველთა ანგარიშზე, მუშათა თავდაცვის რაზმების** ორგანიზაცია, პოლიტიკური პროცესების შეწყვეტა და ამნისტია იმ დამნაშავეებისთვის, რომლებიც ჩადენილი იყო სიღარიბის გამო. მთავრობის გვერდით იქნება პარლამენტის გარეშე კომისია პროლეტარულ პარტიების წარმომადგენელთა, წარმოებებისა და პროფორგანიზაციების დელეგატების შემადგენლობით. ახალი მთავრობის ორგანიზაცია მოხდება კვირას. ლანდტაგი გაიხსნება სამშაბათს.

მღელვარებანი უსურსათობის ნიადაგზე

დაკავებულ ოლქებში.

ბერლინი. 6 ოქტომბერი. გრძელდება მღელვარებანი სურსათის სიძვირის ნიადაგზე

დიუსელდორფსა და გელზენკირხენში მღელვარება იმდენად გაიზარდა, **რომ პოლიციამ ვერ შესძლო მათი ჩაქრობა და საჭირო გახდა საოკუპაციო ჯარების ჩარევა.** ოკუპანტებმა აკრძალეს დიუსელდორფში საღამოს 9 საათის შემდეგ ქუჩაში სიარული.

ახენში ბელგიის საოკუპაციო ხელისუფლებამ აკრძალა ყოველგვარი მანიფესტაციები.

მღელვარებას ადგილი აქვს ოკუპაციით დაკავებულ მთელ ტერიტორიაზე. მახლობელ დღეებში რურის ოლქში მოელიან დიდძალი მუშების დათხოვნას პირველ რიგში დათხოვნილი იქნებიან ახალგაზრდები 20 წლამდე.

მღელვარებანი დანარჩენ გერმანიაში.

ბერლინი. 16 ოქტომბერი. მაინინგენში (გესენის და ტიურინგიის საზღვარზე) მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება მცხოვრებთა და რეიხსვერის ჯარისკაცებს შორის. ჯარისკაცებმა ვერ მოახერხეს მცხოვრებლების დამშვიდება და იძულებული იყვენ გამოეთხოვათ რეიხსვერის კიდევ ერთი რაზმი.

ზემო სილეზიის პოლონეთის ნაწილში დაწყებული გაფიცვა თანდათან ედება სილეზიის გერმანიის ნაწილს, სადაც ზოგიერთ მაღაროებში უკვე გამოცხადებულია გაფიცვები.

ბერლინში

ლონდონი. 15 ოქტომბერი. **ბერლინში ბრბო თავს დაესხა ცენტრალურ ბაზარს. პოლიციამ სროლა აუტეხა ბრბოს, რომელიც იტაცებდა სურსათს დუქნებიდან და პურს ფურნეებიდან.**

შეთანხმებლების გაკოტრება

ყვითელი კავშირები მეპატრონეებს უჭერენ მხარს.

ბერლინი 14 ოქტომბერი. ბერლინში წარმოებულ მოლაპარაკების დროს სამთო-მადნო მუშების ხელფასის შესახებ **პროფკავშირთა წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს სამთომადნო მრეწველობაში სამუშაო დღის გადიდებაზე.**

გერმანიის მოსამსახურეთა და მოხელეთა პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აფრთხილებენ მწარმოებლებს შრომის პირობების დამოუკიდებლად გამომუშავებისაგან. მოწოდებაში ნათქვამია, რომ პროფკავშირები წინააღმდეგობას გაუწევენ კაპიტალისტების ყოველგვარ ცდას დაამყარონ ეკონომიური დიქტატურა პროლეტარიატზე.

მემარცხენე სოც.-დემოკრატები მტკიცე ხელისუფლების კანონის წინააღმდეგ.

ბერლინი. 14 ოქტომბერი. „ფორვერტსმა“ გამოაქვეყნა მემარცხენე სოც. დემოკრატების ფრაქციის 30 წევრის განცხადება რეიხსტაგში. განცხადებას ხელს აწერს სხვათაშორის კრისპინიც. განცხადებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, **რომ ისინი ხმას აძლევდენ მთავრობისათვის უფლებების გაფართოების კანონპროექტს მხოლოდ და მხოლოდ პარტიული დისციპლინის თანახმად.** კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქციის წევრებმა—დიტმანმა, ზენდერმა და აუფჰაიზერმა.

მემარცხენეების პარტიული მასა ოპოზიციაში უდგას ცეკას.

ბერლინი. 14 ოქტომბერი. გაზ. „ფორვერტს“-ში. **დაბეჭდილია სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საოლქო კომიტეტების საპროტესტო რეზოლიუციები ცეკას პოლიტიკის წინააღმდეგ.** გაზ. „ფორვერტსის“ ანგარიშით თითქმის ორი მესამედი ორგანიზაციებისა ოპოზიციაში უდგას ცეკას.

სოციალ-დემოკრატია მთელ მსოფლიოში დამარცხდა.

ბერლინი. 13 ოქტ. ბერლინის სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციის უკანასკნელ კრებაზე ჰილფერდინგმა განაცხადა, **რომ პარტიის გავლენა მასებზე შესუსტდა, და გაზეთების ტირაჟი შემცირდა. მთელ მსოფლიოში სოციალ-დემოკრატია დამარცხდა.** ინგლისში, მიუხედავად არჩევნებში გამარჯვებისა, სოციალ-დემოკრატია ვერ ახერხებს გაზეთის გამოცემას. „ჩვენო, სთქვა ჰილფერდინგმა, ვიმყოფებით უნუგეშო მდგომარეობაში.“

გერმანიის ამბების გამოძახილი

საფრანგეთის მასები ესალმებიან გერმანიის მომავალ რევოლიუციას.

პარიზი. 14 ოქტომბერი **მიტინგების კამპანია, რომელიც მოქმედების კომიტეტმა მოაწყო, წარმატებით გრძელდება. გავრში, ბელფორტში, მარსელში, ბორდოში და საფრანგეთის სხვა ქალაქებში მიტინგები დიდის აღფრთოვანებით იყო ჩატარებული. ლიონში მრავალრიცხოვანი ხალხი მხურვალეთ მიესალმა რუსეთის რევოლიუციას და გერმანიის მომავალ რევოლიუციას.**

ჩეხიის მთავრობა ემზადება.

პრაგა. 14 ოქტომბერი. **ჩეხიის მთავრობას ეშინია საქსონიის მემარცხენე ელემენტების გამოსვლის და** ამიტომ საქსონიის საზღვარზე გააძლიერა ჟანდარმების სადარაჯოები.

საფრანგეთს ეშინია გერმანიაში კომუნისტური რევოლიუციის დაწყებისა.

პარიზი. 14 ოქტომბერი. **გერმანიის ამბები დიდ შიშს იწვევენ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში. საზოგადოებრივი აზრი აღელვებულია საკითხით, მიაღწევს თუ არა შტრეზემანი მთავრობის უფლებების გაფართოებას შტრეზემანის მთავრობას მხარს უჭერენ საფრანგეთის რადიკალებიც კი, რომელთაც აშინებთ კომუნისტური რევოლიუცია.**

მოლაპარაკების განმეორებითი ცდა.

ლონდონი. 16 ოქტომბერი. **გერმანიის რწმუნებულს პარიზში მინდობილი აქვს ხელახლა ინახულოს პუანკარე და აწარმოვოს მასთან მოლაპარაკება რურში მუშაობის განახლების შესახებ. როდის მოხდება პუანკარესთან შეხვედრა, ჯერ არ იციან.**

საფრანგეთის ბრალია.

ბერლინი. 13 ოქტომბერი ლონდონის „ტაიმს“-ი ათავსებს მთელ რიგ ვრცელ წერილებს გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც **მთელი პასუხისმგებლობა გერმანიის განადგურებისათვის აწვება საფრანგეთს.**

საფრანგეთის პრესის ეჭვი.

პარიზი. 13 ოქტომბერი. **საფრანგეთის პრესა შტრეზემანის კაბინეტის მდგომარეობას ძლიერ კრიტიკულად სთვლის და** ეჭვს გამოსთქვამს, შესძლებს თუ არა შტრეზემანი იმდენი ენერგიის გამოჩენას, რომ შეინარჩუნოს თავის ხელში ინიციატივა.

ინგლისი თანახმაა სეპარატიულ შეთანხმებაზე.

ლონდონი. 13 ოქტომბერი „დეილი ნიუზ“-ის ბერლინელ კორესპონდენტის“ ცნობით, ინგლისის საელჩოს წარმომადგენელმა ბერლინში ინახულა გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრო და განაცხადა, რომ **ინგლისის მთავრობა თანახმაა დაზდოს გერმანიასთან სეპარატიული შეთანხმება** ინგლისის საოკუპაციო ზონაში მუშაობის განახლების შესახებ.

გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლათ.

ლონდონი. 13 ოქტომბერი. **ინგლისის კომპარტია წარმატებით ეწევა აგიტაციას პროლეტარიატის დასახმარებლათ.** გაზეთი „უორკეპო უნიკაი“ (მუშათა ყოველკვირეული ორგანო) წინადადებას აყენებს კომიტეტის—„ხელი შორს გერმანიისაგან“ დაარსებისა და საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეთა კაპიტალი გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ გაილაშქრებს. **გაზეთი მოუწოდებს მუშებს აიძულონ მუშათა პარტია და ტრედ-იუნიონები გერმანიის პროლეტარიატისთვის ნივთიერ დახმარების ორგანიზაციისათვის** მთელ რიგ ქალაქებში მიღებულია ასეთივე ხასიათის რეზოლიუციები.

გამოძახილი საფრანგეთში.

ბერლინი. 12 ოქტომბერი. საფრანგეთის პროფესიონალურმა კავშირებმა მათი აღმასკომის სახით მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ საფრანგეთის მთავრობისაგან დაუყოვნებლივ შეუდგეს მოლაპარაკების დაწყებას გერმანიასთან. **კომუნისტების მიერ წამოყენებული ფრონტი უარყოფილია.**

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი

ოსმალეთ-პოლონეთის ხელშეკრულების დამტკიცება

ანგორა. 15 ოქტომბერი. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ოსმალეთ-პოლონეთის ხელშეკრულება და გადასცა ის რატიფიკაციისათვის ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებას.

ახალი კომისარიატი.

ანგორა. 15 ოქტომბერი. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონ-პროექტი ახალი კომისარიატის დაარსების შესახებ; კომისარიატის მუშაობის საგანია დანგრეულ ოლქების აღდგენა და მოსახლეობის გაცვლა-გამოცვლა.

ანგორა—დედა ქალაქი.

ანგორა. 15 ოქტომბერი. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაადგინა ჩასწეროს კონსტიტუციაში, რომ **ანგორა არის ოსმალეთის დედა ქალაქი.**

მოლაპარაკება ავსტრიასთან.

პარიზი 16 ოქტომბერი. სტამბოლში დაიწყება მოლაპარაკება დიპლომატიურ ურთიერთობათა აღდგენის შესახებ ოსმალეთსა და ავსტრიას შორის. ოსმალეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ აღნან-ბეი, ნიუმირ-ბეი და ალიუახუნ ბეი. ავსტრიის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებს დელეგაცია კრალენის მეთაურობით, რომელიც ავსტრიის ელჩათ ითვლება სოფიაში.

პოლონეთის ამბები

ვარშავას კატასტროფა შემთხვევით არ მომხდარა.

ვარშავა 14 ოქტომბერი. **კატასტროფის ადგილზე ნამსხვრევებიდან ამოიღეს 80 მოკლული, 40 მძიმეთ დაჭრილი და 110 მსუბუქათ დაჭრილი.** ოფიციალურ ცნობის მიხედვით, აფეთქება მოხდა თოფისწამლის საწყობში, სადაც ინახებოდა ზარბაზნების კაპსიულების დიდი რაოდენობა. მთავრობის ცნობა აღნიშნავს, რომ აფეთქებაში მონაწილე ბოროტმოქმედის ხელი.

პოლონეთის მარკა ქვევით მიდის

ვარშავა. 14 ოქტომბერი. 13 ოქტომბერს დოლარის არა ოფიციალური კურსი უდრიდა პოლონეთის ერთ მილიონ მარკას.

ფაშიზმის „რეორგანიზაცია“

მუსოლინის მოხსენება ფაშისტურ პარტიის მდგომარეობის შესახებ.

პრაგა. 14 ოქტომბერი. ფაშისტურ პარტიის დიდმა საბჭომ დაადგინა ხელ-ახლა მიიღოს პარტიაში როკკი. მუსოლინიმ მოხსენება გააკეთა პარტიის მდგომარეობის შესახებ და წამოაყენა მთელი რიგი თეზისებისა, რომელთაგან ძირითადია:

1) მილიცია, როგორც შეიარაღებული ძალა, რომელიც შექმნილია ფაშიზმის დასაცავათ, პარტიის შიგნით არსებულ პოლიტიკურ მიმართულებათა გარეშე უნდა იდგეს.

2) **ფაშიზმი არ სცდილობს ტექნიკური თანამშრომლობა დაამყაროს სხვა პარტიებთან,** მაგრამ არც უარყოფს ამას.

3) პარტიის რწმუნებულთა ფუნქციები გამოყოფილი უნდა იქნეს პრეფექტების ფუნქციებისაგან.

სხვადასხვა

სამხრეთ-სლავია

კომუნისტ-დეპუტატების განთავისუფლება

ვენა სამხრეთ სლავიის ყოფილი დეპუტატები-კომუნისტები: მირიჩი, მარკოვიჩი, სტეპანოვიჩი, ჩელოვიჩი, მილოშკოვიჩი და სხვები, რომელთაც მოიხადეს სასჯელი, ეხლა განთავისუფლებულნი არიან. ციხეში იმყოფება მარტო სიმა მარკოვიჩი.

პოლონეთი

დაწვრილებითი ცნობები ვარშავაში მომხდარ აფეთქების შესახებ.

ლონდონი. 15 ოქტომბერი რეიტერის უკანასკნელ ცნობებით, ვარშავის ციხის აფეთქებამ დიდი ზარალი გამოიწვია. მოკლულია 2.000 კაცი, მძიმეთ დაჭრილია 500-ამდე კაცი. აფეთქდა, დაახლოვებით, 120.000 ფუთი ასაფეთქებელი მასალა. ის ფორტი, რომელშიაც მოთავსებული იყო სამხედრო მასალის საწყობი, სრულიად განადგურებულია.

ფინეთი

ტერორი ყველა შეგნებულ მუშების წინააღმდეგ.

ჰელსინგფორსი. 14 ოქტომბერი. გაზეთი „სოციალ-დემოკრატენ“-ი აღნიშნავს, რომ ფაშისტები არ დაკმაყოფილდენ კომპარტიის განადგურებით და მიმართეს მათი ტერორისტული მუშაობა პროფკავშირებისა და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. რეაქციის ორგანო მოითხოვს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დაშლას, რადგანაც უკანასკნელს ბრალს სდებს სახელმწიფო ღალატში.

ნორვეგია

მზადება კომპარტიის ყრილობისათვის

სტოკჰოლმი. 14 ოქტ. ნორვეგიაში ხდება დელეგატების არჩევნები კომპარტიის ყრილობისათვის.

იაპონია

ყველგან „წითელი აჩრდილი“ ელანდებათ.

ოსაკა. 14 ოქტ. იაპონიის პრესა ყოველდღე ახალ ფაქტებს იტყობინება თეთრი ტერორის შესახებ მიწის ძვრის დროს და მას შემდეგ. **2 სექტემბერს ტოკიოში მხეცურად მოკლული იქნენ თავდაცვის მოხალისეთა რაზმის 97 ლტოლვილი,** რომელთაც ბრალდებოდათ „წითელი აგიტატორობა“. მოკლულები—უმთავრესათ მუშები და სტუდენტებია.

გლეხთა საერთაშორისო კონფერენცია

გლეხობის მოწოდება თვითორგანიზაციისაკენ.

მოსკოვი. 13 ოქტომბერი. საერთაშორისო გლეხთა კონფერენციაზე ამხ. ბაზეის მოხსენებით მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს გლეხობას თვით ორგანიზაციისა და მუშათა მასებთან გაერთიანებისაკენ მომავალ ომის ცდისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით.

გლეხობის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ამხ. ვარგა მოხსენებაში კაპიტალისტურ ქვეყნებში გლეხობის მდგომარეობის შესახებ ასურათებს გლეხობის მდგომარეობას, რომელიც გარსშემორტყმულია ყველა ბუნებრივ სიმდიდრეთა მფლობელ მჩაგვრელ კლასებით და მოაგონებს კონფერენციას გლეხურ მეურნეობისა და შრომის ექსპლოატაციას სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის მიერ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში გლეხობას შეუძლია აირჩიოს მხოლოდ ორი შესაძლებლობა: ან გლეხობას ხელმძღვანელობს და ყვლეფს მსხვილი მიწათმფლობელნი და ბურჟუაზია, ან გლეხობა უნდა მიენდოს პროლეტარიატის ხელმძღვანელობას, რომელიც მას არ ყვლეფს და რომლის დახმარებით მას შეუძლია თავისი მდგომარეობის განმტკიცება და კულტურულათ განვითარება.

ერთად ერთი გზა—მუშათა და გლეხთა კავშირშია.

სხვადასხვა ქვეყნის დელეგატებმა კამათის დროს დაწვრილებით დაასურათეს გლეხობის მდგომარეობა თავიანთ ქვეყნებში. ჩეხო-სლოვაკიის დელეგატმა აღნიშნა, რომ ჩეხო-სლოვაკიის აგრარულმა რეფორმამ, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ მემამულეებისა და მსხვილ გლეხობისათვის, მარცხით გადახარა წვრილი გლეხობა და უკანასკნელი ამჟამად ეძებს კავშირს მუშებთან მსხვილი მიწისმფლობელობა აღრჩობს წვრილ გლეხობას. ერთი მემამულე შვარცენბერგი მთელი ბოგემის ერთმეოთხედს ჰფლობს. ერთად ერთი გამოსავალია—წვრილი გლეხობისა და რევოლიუციონურ მუშათა კავშირი.

მხოლოდ მუშურ-გლეხური ხელისუფლება შეამსუბუქებს გლეხობის მდგომარეობას.

პოლონეთის დელეგატმა აღნიშნა, რომ პოლონეთის ბურჟუაზიამ და მემამულეებმა გადასახადების მთელი ტვირთი გლეხობას და მუშებს ზურგზე გადაიტანეს. ვალიუტის დაცემამ კატასტროფიული მდგომარეობა შექმნა. **მხოლოდ რეალურ ღირებულებების ხელში ჩაგდება, მხოლოდ მუშურ-გლეხური ხელისუფლება შეამსუბუქებს გლეხობის მდგომარეობას.**

გლეხობის და პროლეტარიატის საერთაშორისო ორგანიზაცია.

საფრანგეთის დელეგატი ქერო არ არის მომხრე საშუალო გლეხობის მუშათა და გლეხთა კავშირში დაშვების.

ამერიკის მუშა-ფერმერების პარტიის პრეზიდენტი იუწყება აუტანელ გადასახადების, დიდი სატრანსპორტო ტარიფების და შუამავლობის გამო ფერმერების განადგურების შესახებ. მხოლოდ პურის ფასის 20 პროც. ეძლევა ფერმერს, დანარჩენი კი 80 პროც. შუამავლებს. 10 წლის განმავლობაში ფერმერების დავალიანება ბანკებისადმი გაათკეცდა, 8 წლის განმავლობაში გადასახადი 226 პროც. გაიზარდა. მუშათა ფერმერების პარტია ელის იმ მომენტს, როდესაც გლეხობა და პროლეტარიატი გაერთიანდებიან საერთაშორისო მასშტაბით და გამოყოფენ მუდმივ საბჭოს.

მოხსენება რუსეთის აგრარულ რევოლიუციის შესახებ.

მოსკოვი 13 ოქტ. გლეხთა საერთაშორისო კონფერენციის 12 ოქტომბრის დილის სხდომაზე მოსმენილი იყო ამხ. თეოდოროვიჩის მოხსენება რუსეთში მომხდარ აგრარულ რევოლიუციის შედეგებისა და რუსეთის გლეხობის მდგომარეობის შესახებ.

მეფის მთავრობის ღონისძიებებით მცირე მიწა-წყლიანი გლეხობა იდევნებოდა სოფლებიდან, რომ ამით იაფ-ფასიანი მუშა ხელი მისცემოდა მრეწველობას. საერთაშორისო ომმა გამოაშკარავა ის წინააღმდეგობანი, რომელნიც დაგროვილი იყო სოფელში და ნიადაგი მოუმზადა რევოლიუციას. ბურჟუაზიის მიერ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ გატარებულმა რეფორმამ ვერ გადაწყვიტა აგრარული საკითხი, მაგრამ მან დაუმტკიცა გლეხობას, რომ მუშებთან გაერთიანების გარეშე ისინი ვერ მიიღებენ მიწას.

ამან გამარჯვება მოუპოვა ოქტომბრის რევოლიუციას, რომელმაც მოსპო მემამულეების მიწათმფლობელობა, გლეხების დავალიანება და მისცა მათ უფასოთ სამიწათმოქმედო ინვენტარი, საქონელი და სათესლე მასალა.

რუსეთში შემჩნეულია უმიწაწყლო და უცხენო გლეხობის შემცირება. გლეხები სრული პატრონებია სოფლის. სოფლის საბჭოსა და ოლქის აღმასკომის ძალაუფლება სრულიად მათ ეკუთვნით.

ეხლა გლეხობამ მიზნათ დაისახა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. მუშათა და გლეხთა მთავრობის ზრუნვის საგანია გავრცელებულ იქნეს სოფლად აგრონომიული ცოდნა, ამაღლებული იქნეს მესაქონლეობა და საკრედიტო დახმარება აღმოუჩინოს გლეხობას. მთლიანი გადასახადი აშენებულია პროგრესიულობის პრინციპზე; ულარიბესი გლეხობა გადასახადისაგან განთავისუფლებულია.

„მიწები უნდა წაერთვას არა სხვა ქვეყნებს, არამედ საკუთარ მემამულეებს“.

საღამოს სხდომაზე კამათი სწარმოებდა ამხ. თეოდოროვიჩის მოხსენების გარშემო. გერმანიის დელეგატმა, ამხ. მილმა, აღნიშნა, რომ რუსეთის რევოლიუციის მაგალითზე გერმანიის გლეხი დარწმუნდა, რომ მიწები უნდა წაერთვას არა სხვა ქვეყნებს, არამედ საკუთარ მემამულეებს. ეხლა გერმანიის გლეხთა მრავალი კავშირები მუშაობენ კონტაქტში კომპარტიასთან.

გლეხის ქალი—საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური აღმშენებელია.

ამხ. სმიდოვიჩი მოხსენებას აკეთებს რუსეთის გლეხის ქალის მდგომარეობის შესახებ. ოქტომბრის რევოლიუციამ გლეხის ქალს მისცა ქონებრივი უფლება, ოჯახური თანასწორობა და საარჩევნო უფლება. გლეხის ქალი—საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური აღმშენებელია. 1922 წელში სოფლის საბჭოებში და საოლქო აღმასკომებში ირიცხებოდა 7.000 გლეხის ქალები. გლეხის ქალი დიდ როლს თამაშობს საურთიერთო დახმარებისა და კოოპერაციის კომიტეტებში. „რუსეთის გლეხის ქალი საერთო ბრძოლისაკენ მოუწოდებს დასავლეთის გლეხის ქალებს“, დაამთავრა ამხ. სმიდოვიჩმა.

თურქესტანისა, ყირგიზთა რესპუბლიკისა და საქართველოს დელეგატები მოხსენებას აკეთებენ გლეხობის მდგომარეობის შესახებ განაპირა კუთხეებში თვითმპყრობელობისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მდგომარეობა

მოსკოვი. 14 ოქტ. საერთაშორისო გლეხთა კონფერენციის დილის სხდომაზე გრძელდება კამათი თეოდოროვიჩის მოხსენების გამო.

მოხსენების თეზისები ერთხმად იქნა მიღებული.

გერმანიის დელეგატმა ბიტელმა გააკეთა მოხსენება სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

„ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, გლეხობის ლტოლვით კოოპერატიულ ორგანიზაციისაკენ ისარგებლა მსხვილმა კაპიტალმა თავის ინტერესების მიხედვით. რათა კაპიტალისტებს და მემამულეებს ხელიდან გამოვგლიჯოთ კოოპერაცია, საჭიროა ყველა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ენერგიული პროპაგანდის წარმოება პროლეტარიატთან კავშირის აუცილებლობის შესახებ.

რუსეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ, რომელიც სასტიკად იდევნებოდა ცარიზმის დროს, დღეს არა ჩვეულებრივ განვითარებამდე მიაღწია. ასეთ განვითარებამდე მისაღწევად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ მთელ მსოფლიოში ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკურ ძალა უფლების ხელში ჩაგდებას მუშათა და გლეხთა საერთო ძალ-ღონით.

სალამი საყვარელ წინამძღოლს.

მოსკოვი. 14 ოქტ. დელეგატების ერთი ჯგუფის წინადადებით, კონფერენციამ დაადგინა გაუგზავნოს ლენინს შემდეგი მისალმება:

„მოსკოვში შეკრებილი საერთაშორისო გლეხთა კონფერენცია“, რომელმაც უნდა გამოიმუშავოს მიწის მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის საფუძვლები, ერთხმად ესალმება თავის დიდ ამხანაგს ლენინს, კონფერენცია უსურვებს სოფლის და ქალაქის მშრომელთა საყვარელ წინამძღოლს გამომრთელებას და იმედოვნებს, რომ ის ახლო მომავალში შესძლებს თავის ადგილის დაჭერას და მუშათა და გლეხთა გაერთიანებისათვის ბრძოლას კაპიტალიზმზე საბოლოოდ გასამარჯვებლად“.

[illegible]

რუსეთი.

პოლიტიკურ მუშაკების მესამე სრულიად რუსეთის თათბირი.

მოსკოვი 16 ოქტ. კვირას იხსნება პოლიტიკურ მუშაკების მესამე სრულიად რუსეთის თათბირი.

მშობლიურ ენაზე

მინსკი 16 ოქტ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოები გადადიან ბელორუსულ ენაზე. თანამშრომლებისათვის გახსნილია კურსები ბელორუსულ ენის შესასწავლათ.

თურქესტანის მებამბეობის მდგომარეობის შესწავლა.

მოსკოვი. 16 ოქტ. თავდაცვისა და შრომის საბჭომ დაავალა მუშათა და გლეხთა ინსპექციას სახალხო კომისარიატს სახელმწიფო გეგმათა სამმართველოსა და ს. მ. უ. ს. მონაწილეობით დაარსოს კომისია თურქესტანის მებამბეობის მდგომარეობის შესასწავლათ.

ზრუნვა სამომხმარებლო კოოპერაციაზე.

მოსკოვი. 16 ოქტ თავდაცვისა და შრომის საბჭომ გაუდიდა მუშაობის ვადა 1-ლ იანვრამდის ცენტრალურ შერეულ კომისიას, რომელმაც უნდა დაუბრუნოს სამომხმარებლო კოოპერაციას მისთვის ნაციონალიზაციის წესით ჩამორთმეული წარმოებები და სარეწავები.

სემირეჩინსკის რკინისგზის აშენება

მოსკოვი. 16 ოქტომბერი. თავდაცვის და შრომის საბჭომ გზათა სახალხო კომისარიატთან დაარსა საბჭო, რომელიც უნდა შეუდგეს სემირეჩინსკის რკინისგზის გაყვანას. საბჭოს თავმჯდომარეა—ძერჟინსკი, მისი მოადგილე—იაგოდა, თურქესტანის რესპუბლიკის წარმომადგენელი—კაზაკოვი. გზის გაყვანა პიშპეკამდი უნდა დამთავრდეს მომავალ წელში.

პური თურქესტანს.

მოსკოვი. 16 ოქტ. თავდაცვისა და შრომის საბჭომ დაამტკიცა ხელშეკრულება სასურსათო სახალხო კომისარიატსა და „ხლებოპროდუქტს“ შორის; ხელშეკრულების ძალით თურქესტანს უნდა ჩაბარდეს მილიონი ფუთი ხორბალი სექტემბერში, ორი მილიონი ოქტომბერში და თითო მილიონი ფუთი შემდეგ ხუთი თვის განმავლობაში.

პროფ. ტიმირიაზევის ძეგლი.

მოსკოვი. 16 ოქტ. პროფესორ ტიმირიაზევის ძეგლის გახსნა მოსკოვში დანიშნულია 4 ნოემბრისათვის.

ოქტომბრის საჩუქარი სოფელს.

მოსკოვი. 13 ოქტომბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე ელექტრონით განათებული იქნება 10 სოფელი მოსკოვის რაიონში.

პურის ექსპორტი საზღვარგარეთ

მოსკოვი. 13 ოქტომბერი. ორი თვის განმავლობაში პურის ექსპორტების სამმართველოს მიერ გაგზავნილია საზღვარგარეთ 8 მილ. ფუთი პური—მთელ გაყიდულ რაოდენობის ერთი მესამედი.

მიწის ძვრა იაპონიაში

(დაწვრილებითი ცნობები).

ლონდონი. „მ ნჩესტერ გარდიენ“—ის შანხაის კორესპონდენტს მოჰყავს ამ გაზეთში ტოკიოს მიწისძვრის მოწამის მოთხრობა. შემთხვევით გადარჩენილ მომთხრობის აზრით ტოკიოს მიწისძვრის ამბები ძლიერ წააგავს თავისი საშინელებით ბუდის ჯოჯოხეთს; როგორც იგი არსებობს ხალხის წარმოდგენაში.

„შაბათს,—ამბობს ეს მოწამე,—იმ დროს, როდესაც საქმიანი ხალხი ათავებს მიმდინარე დღიურ საქმეებს მიწა მოულოდნელათ აიწია 4—5 ფუტის სიმაღლეზე და კვლავ დაეცა. ნძრევა 30 წამი გაგრძელდა, მას თან სდევდა საშინელი მიწისქვეშა გრგვინვა. ევროპიულ კვარტალში ცის კიდემდე აღმართული გიგანტიური სახლები ნაჭერ-ნაჭერ დაიმსხვრა. ზოგიერთი ამ სახლთაგან მთელი თავისი სიგრძით გადაეფინა მიწას. ნიადაგში მრავალ ადგილას გაჩნდა ნაპრალები, რომლებიც მძიმეთ იხეოდენ და სუნთქავდენ, როგორც ოკეანეს ტალღები... ქუჩიდან შეშლილ ხალხს, რომლებიც გარბოდენ დანგრეულ სახლებისაგან, წინ ეღობებოდა ასეთი ნაპრალები—საკმაოთ ფართო, რომ შთაენთქათ ეტლიანი ცხენი.

ცეცხლის რკალში.

წამსვე ცეცხლმაც იფეთქა. გაძლიერებულ ქარის დახმარებით, იგი სწრაფათ მოედო მთელს ქალაქს, რომელიც თითქოს ცეცხლის ზღვარში იყო გახვეული. ერთხანს კვამლი ფარავდა ცეცხლ მოკიდებულ სახლებს, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ კვამლი ქარმა წაიღო და მცხოვრებლებმა დაინახეს, როგორ იწვოდა მათი სახლები.

ათასი იაპონელი იოკოგამის მინდვრისაკენ გარბოდა, რათა ღია ადგილას თავი გადაერჩინა ქალაქს გარშემო კი ამავე დროს აიწია წყალი, რომელიც ცეცხლის რკალთან ერთად სწყვეტდა კავშირს ტოკიოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის.

ბევრნი გადაეშვენ მოტამნეს არხში, რათა მეორე ნაპირზე შეეფარათ თავი ცეცხლისაგან, მაგრამ ქარმა იქეთაც გადაისროლა ალი და მეორე ნაპირის სახლებსაც წაუკიდა ცეცხლი. ისინი ვინც ხსნას ხის კიბეებზე ეძებდა უფრო საზარელ განსაცდელში ჩავარდა, რადგან კიბეები მორწყული იყო აფეთქებულ საწყობიდან გადმოდენილ ნავთით, ბევრნიც პანიკით მოცულნი, წყალში ვარდებოდენ და იღუპებოდენ. მთელი არხი სავსე იყო მცურავ სხეულებით. ცეცხლისაგან ხალხი წყალში ეძებდა თავშესაფარს, ხოლო წყალდიდობიდან—გახურებულ ფეროფლში და ანთებულ ნანგრევებში, რომლის ქვეშ დამარხული იყო მრავალი ათასი მსხვერპლი.

ნავთსადგურზე.

ევროპიულ კოლონიის წევრნი ნავთსადგურზე აცილებდენ ტოკიოდან მიმავალ გემს „ავსტრალიის დედოფალს“ და უკანასკნელ სალამს უგზავნიდენ გემზე მყოფ მგზავრებს, როდესაც უეცრათ ნავთსადგური შეინძრა და ქიაყელასავით დაიგრიხა, აიწია 30 ფუტის სიმაღლეზე, დაეცა, კვლავ აიწია და, დაბოლოს, ზღვაში ჩავარდა. ზოგიერთნი გააფთრებით ებრძოდნენ ტალღებს და მცურავ ბოძებს ეკიდებოდენ, სხვები კი, უფრო ბედნიერნი, პორტის ნამტვრევზე დარჩენ, როგორც ზღვით გარსშემორტყმულ პატარა კუნძულზე ისინი შემდეგ გემმა აიყვანა.

პირველსავე ნძრევის დროს იოკოგამის მხარეზე აფეთქდა ნავთის დიდი საწყობები. მრავალი მილიონი ფუთი ანთებულმა ნავთმა გაავსო ქალაქის ქუჩები. ნავთსადგური ცეცხლის ზღვათ გადაიქცა. ნევიჩის საპყრობილეს კედლები დაინგრა და 5,000 ტუსაღი ქუჩაზე გამოეფინა. რეციდივისტ-ტუსაღებმა ისარგებლეს შემთხვევით და ძარცვა გლეჯა დაიწყეს. ზოგიერთი მათგანი აღშფოთებულმა ხალხმა დახოცა.

კატასტროფის მიზეზები.

კატასტროფის მიზეზების შესახებ არსებობს რამოდენიმე აზრი. ტოკიოს ცენტრალური ობსერვატორია ფიქრობს, რომ პირველ მიწისძვრის მიზეზი წყალქვეშა ვულკანი იყო, რომელიც მდებარეობს ნახევარკუნძულ იძუს ნაპირზე,—ატამის გვიზერებსა და კუნძულ ოშიმას შუა. პროფესორ ნაკაწურა გაემგზავრა კუნძულზე გამოკვლევის მოსახდენათ.

ოსაკის ობსერვატორიის გამგე ფიქრობს, რომ პირველი მიწისძვრა გამოწვეული იყო მიწის ზედაპირის შეკუმშვით, რომლის ცენტრი ტოკიოშია,—იმავე ადგილას, სადაც იყო 1856 წელს.

არსებობს კიდევ ერთი თეორია, რომლის თანახმათ მიწისძვრის მთელი სერია გამოწვეულია ვულკ მთების მოქმედებით, რომელ ცხვში შედიან ვულკანები გაკონი და იძუს ჯგუფი. მწვერვალის მოხაზულება შე რის შემჩნევა უბრალო თვა შეიძლება.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს!

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქტორს

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში გამოაცხადოთ: **„რუსულ რეაქციას ჩვენია რუსეთში იხეგ კომუნიზმი“.** ამისთვის გთხოვთ მიიღო **ხუთი ჩერვონეცი** გერმანიის მშრომელ ხალხის დასახმარებლად.

კონიაკის და არაყის მწარმოებელი დავით კალანდაძე

„კომუნისტი“-ს რედაქტორს

მიიღეთ 1 ჩერვონეცი გერმანელ მუშების სასარგებლოთ. გარდა ვიწვევ შემდეგ პირებს: 1. ხახვიაშვილი იაკობ სოლომონის ძე, 2. მაი როვი სანდრო იგივე ბოხკა, 3. ბატონისაშვილი დათიკო, 4. ლელაშ ისაკა, 5. პატარაკალაშვილი კოტე, 6. ელბაქიძე ანვია, 7. ქებაძე გ შაქრო, 8. გალობლიშვილი ანტონა, 9. თევდორაძე დათიკო ბათომში, დათუნაშვილი კოლა ბათომში, 11. კოპალაძე იოსები ბათომში, 12. რავა გედევანი აბაშაში.

ახალბედაშვილი მათ

„კომუნისტი“-ს რედაქციას

გ. ბიბინეიშვილის გამოწვევის საპასუხოთ, გერმანიის პროლე ტის სასარგებლოთ შემომაქვს ერთი ჩერვონეცი და ჩემი მხრით ვიწ პარმენ საბაშვილს, დ. თაქთაქიშვილს, გიორგი ჩხეიძეს, ალ. ლიძეს, ილ. წივწივაძეს, ზ. კალანდიას.

ქ. ჩხენკელი

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქტორს

ამხ. ნიკოლაიშვილის მოწოდებით, გერმანიის მუშების სასარგებ შემომაქვს ერთი ლირა; და ჩემი მხრივ ვიწვევ ჯან. სახ. კომ. თანამშრ ქალებს: მ. გიორგობიანისა, კასრაძეს, საყვარელიძისას, ტოლმაჩოვ თაძეს, ჯაფარიძეს, დეკერს, რუსიშვილს, ქორქოლიანისას, იარგ სერგეევას, საყვარელიძისას ანნა, ნადიროვას, თოიძეს, გარსევანიძეს, ლოვას, კაზლოვას, კლოკკის, ამხ. მარიამ წერეთელი-მაჩულიასას, დემუროვას.

სახ. ჯანმრთელობის კომისარიატის თანამშრომელი **მეგი ჩხეიძ**

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამხ. ივანე ბუაჩიძის გამოწვევის საპასუხოთ შემომაქვს გერ პროლეტარიატის დასახმარებელ ფონდში სამოცი მილიონი მანეთი და ვევ შემდეგ ამხანაგებს: ნიკოლოზ ფუტკარაძეს, ს. ცუცქირიძეს, გ. მღ ძეს, ალექ. ნიკურაძეს, მ. ჩუბინიძეს, შ. ყანჩაველს, დ. დეკანოსიძეს, ნი საყვარელიძეს, ვ. ჩხეიძეს, ექიმებს გრ. ამაშუკელს, ვანიჩკა ჯაფარიძეს, დანე გოცაძეს, დ. მაჭავარიანს, გამცემლიძეს, ალავიძეს, ნიკოლოზ ჟუ კალენიკე საყვარელიძეს, ბ. გაჩეჩილაძეს, პ. სალაძეს, გ. ცხადაძეს, ტიონ კვინიკაძეს (ზესტაფონიდან) ჩხარიდან დანიელ კუპატაძეს, რატ. სახილაშვილს, ხარაგოულიდან ნიკოლოზ შარიქაძეს, ნესტორ რელიძეს, ს. ნანეტაშვილს, ქიათურიდან ტ. მგალობლიშვილს, ქ შვილიძეს, დიმიტრი მელქაძეს, კალისტრ. გამიზარდაშვილს, სვე შვილს, არჩ. გოცაძეს, მარიამ მიქაძეს, იპ. კაპანაძეს, ყვილამ საჩხერიდან გ. წერეთელს.

ტერენტი შარიქაძე

ქ. ზესტაფონი 10 ოქტომბერი.

შემოვიდა 16 ოქტომბერს

1. დ. კალანდაძე 5 ჩერვონეცი, 2. მ. ახალბედაშვილი 1 ჩერვონ 3. ქ. ჩხენკელი 1 ჩერვონეცი, 4. მ. ჩხეიძე, 1 ოსმალური ქაღალდის ლ 5. ტ. შარიქაძე 60.000.000 მ., 6. მ. კვარაცხელია 5.000.000 მ., 7. ჩიხლაძე 5.000.000 მ. სულ 7 ჩერვონეცი, ერთი ოსმალური ქაღალდის რა და 70.000.000 მანეთი.

წინეთ შემოსულით (223 ჩერვონეცი, ნახ. გირ. ინგლ. სტერლ ორი ოსმალური ქაღალდის ლირა, ერთი ოქროს ჯვარი, 2 ოქროს ბ 2 ვერცხლის მანეთი და 1.563.682.000) 230 **ჩერვონეცი, ნახ. სტერლინგი, სამი ოსმ ქაღ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 2 ოქროს ბ 2 ვერცხლის მან. და 1.638 682.000 მან.**

ამიერ კავკასიის ცხოვრება

აზერბეიჯანი

მუშები კურორტებზე.

ბაქო. 14 ოქტ მიმდინარე წელს საზაფხულო სეზონზე ისარგებლა საკურორტო ექიმობით კავკასიის მინერალურ წყლებზე „აზნეფტის“ 908 მუშა-მოსამსახურემ. გასულ წელს კი—433. აპშერონის ნახევარ-კუნძულზე ისარგებლა ექიმობით—546 ავადმყოფმა, დასასვენებელ სახლებში ორი კვირის ვადით ჩამოვიდა 1376 კაცი. ზამთარში ქლექიანებისათვის იმუშავებს სოხუმის კურორტი.

სამხრეთ-ოსეთი

საოლქო პარტკონფერენცია.

ცხინვალი. 14 ოქტ. სამხრეთ-ოსეთის საოლქო პარტკონფერენცია მოწვეულია 17 ოქტომბრისათვის

რაიონებათ დაყოფა.

ცხინვალი. 14 ოქტ. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის დანიშნულებით, განზრახულია ოლქის დაყოფა შემდეგ 10 რაიონათ: როკის, ჯავის, კუდარის, ცხინვალის, ყორნის, ოკონის, ოროევის, ანდორეთის, ახალგორის და მონასტერის.

დახმარება გერმანიის პროლეტარიატს.

ცხინვალი. 14 ოქტ სამხრეთ ოსეთის პარტორგანიზაციის საერთო კრებამ, რომელიც შესდგა ცხინვალში, დაადგინა გადაიხადოს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ: მოსამსახურე პარტიულ ამხანაგებიდან, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს 10-ე თარისხის მიხედვით—5 პროცენტი, 10-დან 17 თარ მიხედვით—10 პრ., პასუხისმგ პარტიულ მუშაკებიდან—15 პრ.

სომხეთი

უპარტიო ქალთა კონფერენცია.

ერევანი. 14 ოქტ. გაიხსნა ე ნის უპარტიო ქალთა კონფერ მიღებულია დადგენილება ნოს მისალმებელი დეპეშა ამ ნინს; წინადადებას შეხვდენ ოვ ბით. გაეგზავნა დეპეშები ამ რ. კ. პ. ცეკას, სომხეთის კომ ტიის ცეკას და ქალთა განყოფ ბებს.

გერმანიის ამბების გამო.

ერევანი. 15 ოქტ. გუშინ შე პროფკავშირების წევრთა საე კრება. დაესწრნენ წევრები გა ლების, საექიმო სანიტარულ და ჰოთა მუშაკების კავშირებიდან. აზატიანის მოხსენების გამო გერ ნიის ამბების შესახებ მიღებუ რეზოლიუცია, რომლითაც ყველა გილკომები უნდა შეუდგნენ ფულ მოგროვებას შემოწირულების სა გერმანიის პროლეტარიატის სა გებლოთ.

სავალდებულო სწავლება.

ალექსანდროპოლი. 15 ოქტომ რი. სწავლების სავალდებულოთ მოცხადების გამო, ყველა სკოლ მიუღებლად დარჩენილი ბავშ 1,037 რაოდენობით, გატარებ იქნებიან რეგისტრაციაში 700 შვი დანაწილებული იქნება სკოლ ში, ხოლო დანარჩენებს მიიღ სკოლების შენობათა შეკეთების დეგ.

პარტიული ცხოვრება

კიდევ შეფობის შესახებ

სოფლის და ქალაქის დაახლოების მიზნით, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს საბჭოთა და პარტიული აღმშენებლობის წინსვლისათვის, შემოღებულია ქალაქის კომუჯრედების და საერთოდ დაწესებულების თუ ორგანიზაციების მიერ შეფობა სოფლის კომუჯრედებზე და საერთოდ სოფლებზე.

მაგრამ ჩვენში ეს შეფობა სათანადოთ ვერ ტარდება ცხოვრებაში უმეტესათ პროვინციალურ ქალაქების მიერ.

ზოგიერთი ჩვენი ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ მათ სამაზრო ქალაქებში უჯრედების შემადგენ თითქმის გლეხურია და მათი ს ლებზე შეფობას მიზანი არ ექნე და როგორც ასეთ ქალაქებზე სოფლებზე უნდა მიიღოს შეფ ბათუმის და თბილისის მუშებ (მაგ ოზურგ. მაზკომი).

ასეთი შეხედულება შეფობაზე შეიძლება ჩაითვალოს სამართლიან თუ ჩვენს ზოგიერთ პროვინციელ ლაქებში არა გვყავს სამრეწვ მუშები, ყოველ შემთხვევაში ქა ქის უჯრედებში დაგროვილია უფ მეტად მომზადებული პარტიული ხანაგები, რომლებმაც უნდა მი

ყოფილ მენშევიკების განცხადებანი

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ ჩვენი განცხადება:

ჩვენ, ქვემორე ამაზე ხელის მომწერნი, ვირიცხებოდით მენშევიკური პარტიის წევრებათ. ჩვენ, როგორც მუშებს, არ გვქონდა საშუალება სისწორით აგვეწონ-დაგვეწონა ამა თუ იმ პარტიის პროგრამა და ტაქტიკა, ჩვენ ვფიქრობდით, რომ მენშევიკები ჭეშმარიტათ სოციალისტები იყვნენ, მაგრამ მწარეთ მოვტყუებულვართ: მენშევიკებმა უსირცხვილოდ გაყიდეს მუშათა კლასის ინტერესები და მუშების უბედურებაზე თავიანთი პირადი ბედნიერება ააშენეს. იმის მაგივრად, რომ მუშებსა და გლეხებს ამოსდგომოდენ გვერდში კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში—ისინი გვერდში ამოუდგენ ბურჟუა კაპიტალისტებს. გავითვალისწინეთ რა მენშევიკების სრული გაკოტრება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიურ სფეროში, ჩვენ სრულიად შეგნებულად ვღიარებთ, რომ მენშევიკურ პარტიის რიგებში ყოფნა ყველა პატიოსან მუშისთვის სასირცხვილოა, ამიტომ ვსტოვებთ მათ პარტიას და ფიცსა ვსდებთ მთელი ჩვენი არსებით ხელი შევუწყოთ მუშათა და გლეხთა მთავრობის განმტკიცებას და, თუ საჭიროება მოითხოვს, სიცოცხლესაც შევსწირავთ მის დასაცავად. 1. თოიძე მელიტონ სიმონის ძე 1907 წ., 2. კონტრიძე ასლან ივლიანეს ძე, 1907 წ., 3. მამულაიშვილი ალექსანდრე 1905 წ. 4. ლევან თოთიბაძე 1905 წ., 5. სოფრომ გაგუა 1905 წ., 6. პომფილ ბერიძე 1905 წ. 7. სილან ვოგუაძე 1902 წ., 8. სანდრო კვერენჩხილაძე 1917 წ., 9. მოსე გძელიძე 1917 წ.

—

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ გაუშვათ თქვენს გაზეთში შემდეგი განცხადება: ჩვენ, ქვემორე ამაზე ხელის მომწერნი, ამით ვაცხადებთ, რომ ეურთდებით საქართველოს ყოფილ მენშევიკების კონფერენციის, ვიზიარებთ მის დადგენილებებს და ვსდგებით კომინტერნის დროშის ქვეშ. მოვალეთ ვსთვლით ჩვენს თავს ხელი შევუწყოთ ჩვენი პროფესიით საბჭოთა აღმშენებლობას. 1. პლ. ნათალიშვილი 1915 წ., 2. ირ. ივ. თხილაძე 1903 წ., 3. ვარ. კილაძე 1895 წ.

—

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ გამოაქვეყნოთ შემდეგი განცხადება: ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერნი, ყოფილ სოც-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის წევრები, ვსტოვებთ რა რიგებს ზემოხსენებული პარტიისას, სრულიად შეგნებულად უერთდებით ყოფილ მენშევიკების მიერ მიღებულ დეკლარაციას და დადგენილებებს, ვურთავთ მათ ჩვენს ხმასაც და ვაღიარებთ, რომ მხოლოდ გაერთიანებულ მუშათა ფრონტს შეუძლია დამარცხება საერთაშორისო ბურჟუაზიის—ფაშიზმის სახით. 1. რაფიელ ჯიბლაძე 1902 წ., 2. კასიანე ლავრენტის ძე ორაგველიძე 1920 წ., 3. მიხეილ ზაქარიას ძე ელიაშვილი 1915 წ., 4. ნესტორ პავლეს ძე ჭითანავა 1917 წ.

—

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი: „1903 წლიდან ვირიცხებოდი მენშევიკურ პარტიის წევრად. 1921 წლის თებერვლიდან სრულებით ჩამოვშორდი ხსენებულ პარტიას და არ მქონია არავითარი კავშირი არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან. ამ ხნის განმავლობაში, თუ ეს მეპატიება, შორიდან უცქერდი იმ საშინელ სამოქალაქო ომში ძმათა სისხლის ღვრას, რომელმაც დღემდე განვლო ჩვენს თვალწინ. დღეს საკუთარის ნებისყოფით და სრულიად შეგნებულად გადავსწყვიტე შევუერთდე ყოფილ მენშევიკთა საქართველოს კონფერენციის დადგენილებებს და ვითანამშრომლო საბჭოთა წყობილების განსამტკიცებლად.

გიორგი ეფრემის ძე აფხაზავა.

—

ამით ვაცხადებ, რომ 1921 წლამდე ვითვლებოდი საქართველოს სოც.-დემ. პარტიის წევრად. 1921 წლიდან კი პარტიიდან სრულიად ჩამოშორებული ვარ, რადგან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა მუშათა კლასისთვის დამღუპველათ მიმაჩნია.

არავითარ არალეგალურ ორგანიზაციაში ხელისუფლების წინააღმდეგ მონაწილეობა არ მიმიღია და არც მომავალში მივიღებ.

ვრჩები ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე და ჩემი ცოდნითა და გამოცდილებით ხელს შევუწყობ საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობას.

ამბროსი ინწკირველი.

—

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ მოათავსოთ თქვენდამი რწმუნებულ გაზეთში შემდეგი:

ჩვენ ვეკუთვნოდით ს. დ. მ. პ (მენშევიკურ პარტიას) 1918 წლიდან. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან შევსწყვიტეთ მასთან ყოველივე კავშირი. ჩვენ დავრწმუნდით, რომ კომუნისტური პარტია არის ერთად-ერთი პარტია, რომელიც ნამდვილად იცავს მუშების და გლეხების ინტერესებს, ამიტომ ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია ვითანამშრომლოთ მასთან საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად და მშრომელი ხალხის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ნ. ობლიაშვილი, ლიპარტიანი.

—

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში ჩემი შემდეგი განცხადება: „მე ვიზიარებდი მარქსისტულ მოძღვრებას მენშევიკური გაგებით. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მუშაობამ, განსაკუთრებით კომპარტიის მე-12 ყრილობის მიერ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტამ გამოიწვია ჩემი ძველი შეხედულების გადასინჯვა. დავრწმუნდი, რომ ერთად ერთი გზა მუშათა კლასის თავისუფლებასა და სოციალიზმისა—ეს არის მესამე ინტერნაციონალის გზა და ამიტომ ჩემ წმინდა მოვალეობად მიმაჩნია ყოველმხრივ ხელი შევუწყო საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობას და მუშათა კლასის მონაპოვართა განმტკიცებას.

ივანე ესეს ძე ლოლუა.

თავიანთ თავზე ინიციატივა შეფობის გატარების საქმეში სოფლად.

მაზრების ძლიერ უჯრედებში კიდევ უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ პარტიული მუშაობა, რომ ამ უჯრედებიდან მივიღოთ მომზადებული ამხანაგები, რომელთაც შეეძლებათ სხვა უფრო ჩამორჩენილ უჯრედების მუშაობის გამოცოცხლება. მაზრკომმა უშუალო დამოკიდებულება უნდა დაიკავოს ასეთ უჯრედებთან და მისცეს მათ საუკეთესო მომზადებული ხელმძღვანელები. საზოგადოთ ყოველგვარი ზომები უნდა იყოს მიღებული, რომ ეს უჯრედები სამაგალითო გახდეს. ასეთ მოღონიერებულ, გამოცდილ-მომზადებულ ამხანაგთაგან შემდგარ უჯრედს შეუძლია იკისროს შეფობა თავის მაზრის რომელიმე დაშორებულ-ჩამორჩენილ სოფლის უჯრედის და მისთვის იდეურ-პრაქტიკული ხელმძღვანელობა. თორემ მარტო ტფილისის და ბათუმის კომუჯრედები ვერ შესძლებენ მთელი საქართველოს მასშტაბით შეფობის ცხოვრებაში გატარებას. მაზრების ძლიერმა უჯრედებმაც აუცილებლად უნდა შეუწყონ ხელი შეფობის ცხოვრებაში გატარებას.

გ. კ—ძე.

ჩოხატაური

კვირას, 7 ოქტომბერს მოწვეულ იყო ჩოხატაურის რაიონის (ჩოხატაურის, ბუკისციხის, ამაღლების, ერკეთის და ხევის თემის) კომუჯრედების წევრთა რაიონული კონფერენცია, თავსწრო 18 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. თ. ჩიჩუა, მდივნათ კ. უჯმაჯურიძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება მომენტზე, 2. თემების გადაჯგუფება, 3. რაიკომის მოხსენება, 4, არჩევნები ახალი რაიკომის წევრების, 5. არჩევნები სამაზრო კონფერენციის დელეგატების და 6. გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე კომისიის არჩევა.

1. მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. თ. ჩიჩუამ, რომელმაც ვრცლად დაახასიათა დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა და კერძოთ კი გერმანიის პროლეტარიატის მოძრაობა, რომელიც თავგანწირულათ იბრძვის საბჭოთა მთავრობის და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის, მაგრამ მათ ყოველ მხრიდან, როგორც შიგნიდან, ისე გარედან, შემოსეული ყავთ კონტრრევოლიუციონური ძალები რომლებიც სცდილობენ მუშათა მოძრაობის ჩაკვლას და რეაქციის გამარჯვებას.

ასეთ მდგომარეობაში, როდესაც პროლეტარიატის ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი წყდება, მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლები ყველა ამას შორიდან უყურებენ და ნაცვლად ერთი მუშათა ფრონტის შექმნისა ბურჟუაზიას ესარჩლებიან და მუშათა კლასის საწინააღმდეგოთ მხარს უჭერენ. მომხსენებელი ამბობს, რომ გერმანიის მუშათა კლასის მოძრაობას აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა; თუ გერმანია დამარცხდა, ეს ჩვენი დამარცხებაც იქნება, საიდანაც გათამამებული ბურჟუაზია საბჭოთა რესპუბლიკებს მოადგება და დაუწყებს ბრძოლას.

ამიტომ ჩვენი ვალია ყოველმხრივ დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს.

კრებამ, მოისმინა რა ყველა ეს, გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია და აირჩია გერმანიის პროლეტარიატის დახმარების კომისია.

თემების გადაჯგუფების შესახებ კონფერენციამ მოისმინა ცენტრის დადგენილება და ღებულობს მას ცხოვრებაში გასატარებლათ, მხოლოთ შუამდგომლობს ცენტრის წინაშე, რომ გურიაში იქნეს გამოყოფილი ზედმეტი რაიონები, რადგანაც გურიის მდებარეობა სხვანაირია და თითეული რაიონი გაგრძელებული 35 ვერსამდე.

რაიონული კომიტეტის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კ. უჯმაჯურიძემ, რომლითაც კონფერენცია კმაყოფილი დარჩა.

რაიონული კომიტეტის წევრებად ერთხმად არჩეული იქმნენ კ. უჯმაჯურიძე, ს. ცინცაძე, ლავროსი მამალაძე, ფ. ცინცაძე, სევერიან კალანდაძე, გიორგი ყაჭიაშვილი და სანდრო ჩანტლაძე.

ამის შემდეგ არჩეულ იქნენ დელეგატები სამაზრო პარტიული კონფერენციისათვის.

დასასრულ კომფერენციამ მსჯელობა იქონია ჩვენი პარტიული ჟურნალ-გაზეთების გავრცელების შესახებ და დაავალა ყველა თემკომებს, რომ ენერგიული ზომები მიიღონ გაზეთების გავრცელების საქმეში, რის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

ხ. ცინცაძე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(16 ოქტომბერი).

ჩერვონცები — — —	63,500
ინგ. სტერლინგ. ეფექტ.	56,000
ჩეკები —	52,500
დოლარები ეფექტ. —	12,900
ჩეკებია	12.000
ოსმ. ქაღ. ლირა	6.800
იტალიური ლირა	360
ფრანგული ფრანკი	540
საბჭ. ფულის ნიშნები	12 ნახ.

ბირჟის მიწოდება.

(15 ოქტომბერი).

სპილენძი (წითელი) ლურსმნები. ფხვნილი შაქარი (ყვითელი) ცენტროკავშირის ჩაი. აბრეშუმი (დაურთავი) ტყის მასალა. იტალიური მანუფაქტურა. კრასნოდარის მაკარონი. სკიპიდარი ფრანგ. კანაფი. ტომრები. ქიმიური ნაწარმოები კაუსტიური სოდა. საპონი. ცემენტი და ეტერნიტი. ყუბანის ფქვილი 1 ხარ. ევკალიპტის ზეთი. კონიაკის სპირტი. ურალის რკინეულობა.

ბირჟის მოთხოვნილება.

(15 ოქტ.)

ძელქვა. აბრეშუმი დაურთავი. ელექტრონის ლამპიონები. ურალის რკინეულობა. ჩაი. ნედლი ტყავეულობა. ქვამარილი ნახიჩევანის და ბახმუტის. ბამბა. მატყლი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(15 ოქტომბ.)

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უწინდებურად უმოქმედოა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

13 ოქტომბერს ბირჟის გარეშე დადებულია 17 გარიგება, სულ 47218 ჩერვ. მან. თანხისა.

ვალიუტის ბირჟის განწყობილება

(15 ოქტომბ.)

დღეს ჩერვონცების მოთხოვნილება სუსტი იყო, ამიტომ ჩერვ. კურსმა მცირედ იმატა. დანარჩენ ვალიუტას შესამჩნევი ცვლილება არ ეტყობა.

მუშკოოპის ფასები

(15 ოქტ.)

პური 1 ხარ.—320 ათ, პური 2 ხარ.—275, ძროხის ხორცი—1 მილ. ცხვრის ხორცი—1400 ათ., შაქარი რაფ. 2950. ფხვნილი შაქარი—2,635, მაკარონი—1060 ათ. კარტოფილი—80 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები

(15 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ.—400 ათასი, პური 2 ხარ.—300, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფინ.—2,950, ფხვნილი შაქარი—2650. ბრინჯი ალდაშ.—750 ათ. მაკარონი 1100, კარტოფილი 125—150.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოტანა ოსმალეთიდან აჭარაში.

ოსმალეთიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აჭარაში შემოტანისათვის ნებართვის გაცემის შესახებ ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა მიენდოს ამ საკითხის მოგვარება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბათუმის განყოფილებას.

ამიერ-კავკასიის ს. ფედ. ს. რესპუბლიკის და ს. ს. რ. კავშირის კანონმდებლობათა შეთანხმება.

საჭიროთ არის ცნობილი ამიერ-კავკასიის ს. ფედ. ს. რესპუბლიკის და ს. ს. რ. კავშირის კანონმდებლობათა შეთანხმება საგარეო ვაჭრობის საკითხში. სათანადო მოხსენება ამ საკითხის შესახებ წარედგინება ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის „ბიულეტენ“-ის გამოცემის შესახებ.

მოწონებულია მოხსენება „ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბიულეტენ“-ის გამოცემის შესახებ. ბიულეტენი პირველ ხანებში გამოვა ყოველთვიურათ, შემდეგ კი ორ კვირეული, ტექნიკურ და მატერიალურ პირობების მიხედვით. პასუხისმგებელ რედაქტორათ დაინიშნა ამხ. ივანიანი. „ბიულეტენ“-ის პირველი ნომერი გამოვა დაახლოვებით 25-დან 31 ოქტომბრამდე.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში

სატვირთო ტრანსპორტის ლიკვიდაცია

დაადგინეს შეჩერებულ იქნეს სატვირთო-ტრანსპორტის ექსპლოატაცია, რომელიც აღიარებულია კომერციულათ მიზანშეუწონლად.

სოხუმში მივლინება.

სოხუმში იგზავნება ამხ. მელიქოვი, რომელიც იქ დაათვალიერებს სოხუმის კანტორის მუშაობას, გამოარკვევს თამბაქოს ბაზრის მდგომარეობას და კანტორის საწყობებში არსებულ თამბაქოს რეალიზაციის საქმეს.

საშუალებების მიწოდება „ბიან“-ისათვის.

საზოგადოება „ბიან“-ის საჭიროებისათვის გადადებულია 500 ჩერვონეცი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საპაიო გადასახადის ანგარიშში, ხოლო ძირტკბილის ორგანიზაციისათვის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოდან თანხების მიცემა დადგენილების თანახმად, უნდა შეწყდეს, რადგანაც ძირტკბილა ფაქტიურად გადადის საზ „ბიან“-ის განკარგულებაში.

კრედიტი „ზაკუტილ სირიე“ ს გამგეობას.

„ზაკუტილ სირიეს“ გამგეობას მიეცა კრედიტი 700 ჩერვონეცის რაოდენობით. ამასთან ერთად წინადადება მიეცა გამგეობას გასცეს იჯარით ნაწლავების ქარხნები აზერბეიჯანში, შეასრულოს ტფილისის ქალაქის აღმასკომთან დადებული ხელშეკრულება ტფილისის ნაწლავების ქარხნის იჯარით გაცემის შესახებ, ნაყიდი ნაწლავები გაყიდოს უცხოეთში გაზიდვის უფლებით, ნაწლევების შესყიდვა აწარმოოს არა კერძო პირებიდან, არამედ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან.

სახელმწიფო შემნახველი შრომის კასები.

უკვე დაიწყო ოპერაციები შემნახველმა შრომის კასებმა. მათი გახსნის საჭიროება შედეგი არის ჩვენი გამოცოცხლებული მრეწველობის მიმდინარეობის და საზოგადოთ საკავშირო რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის აღდგენის ნიშნის სამუშაო ხელფასის დაზოგვის საშუალებით, თვითეულ მშრომელს შეუძლია გადასდოს თუნდაც მცირე ნაწილი მისი სამუშაო ხელფასის და შეიტანოს ის შემნახველ კასებში, რომლებიც მუშაობის ხასიათით და დანიშნულებით უზრუნველყოფენ ამ შეტანილ თანხას როგორც ხელუხლებლობას, ისე დაზღვევას ფასის დაკარგვისაგან, რაც ძლიერ მნიშვნელოვანია ჩვენი მანეთის ასეთი შეუჩერებელი დაცემის დროს. ეს იქნება მიღწეული მით, რომ კასა ვალდებულია თანხის შემტანის პირველი მოთხოვნილებისთანავე დაუბრუნოს მას შეტანილი თანხა არა პირველი რაოდენობით, არამედ იმ დღის ფასების მიხედვით, რომელიც იქნება თანხის დაბრუნების დროს ამას გარდა კასა გადაიხდის კიდევ 3 პროცენტს შეტანილი თანხისა. ამ რიგათ იქნება ორმაგი გარანტია: მანეთის ფასის დაკარგვისაგან უზრუნველყოფა და შეტანილი თანხის პროცენტების მიმატებით ზრდა.

საერთოდ შემნახველი კასები უკვე ნაცადი ხერხია ფულის ეკონომიისათვის. მაგალითად საფრანგეთში შემნახველ კასებში დაგროვდა იმოდენა თანხები, რომ ის მნიშვნელოვან დახმარებას უწევს არა მარტო თანხის შემტანლებს, არამედ საერთოდ მთელს სახელმწიფო მეურნეობას როგორც სახალხო სიმდიდრის წყარო. მუშების მხრივ ყურადღების შემთხვევაში, ეს კასები ითამაშებენ დიდ როლს ქაღალდის მანეთის კურსის მოგვარებაში, რითაც ძლიერ დაინტერესებული არიან როგორც კერძო პირები, ისე სახელმწიფო ორგანოები.

პროფკავშირებში

სენაკის სამაზრო პროფბიუროში.

საკავშირო ორგანიზაციების განახლება.

ავგისტოს და სექტემბრის განმავლობაში სენაკის პროფბიურომ გაატარა ს. პ. კ. ს. ყველა დირექტივები და დავალებანი.

ამავე პერიოდში განახლებულ იქნა ყველა საკავშირო-ორგანიზაციები. გადარჩეულია ყველა ძირითადი უჯრედები და საკონფლიქტო კომისიები ადგილებზე.

წერაკითხვის უცოდინარობის მოსპობა.

15 აგვისტოსთვის ყველა კავშირებში, მშენებელთა და მეტ ანსპორტეთა გამოკლებით, წერაკითხვის უცოდინარობა სავსებით მოსპობილია, რაც მაზრის პროფორგანიზაციების დაუღალავი და გამუდმებული მუშაობის შედეგად უნდა ჩაითვალოს.

მიღებულია ენერგიული ზომები მშენებელთა და ტრანსპორტის მომუშავეთა შორის წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ.

საკლუბო მუშაობა.

საკლუბო მუშაობას აფერხებს სახსარის უქონლობა, რომლის გამო, შეუძლებელი შეიქნა საკლუბო შენობის გამონახვა.

სამაზრო პროფბიუროს თაოსნობით მოეწყო მთელი რიგი უფასო წარმოდგენებისა მუშებისათვის.

წაკითხულ იქნა პოლიტგანათლების სფეროში მთელი რიგი ლექციებისა.

სენაკის მუშების მიერ გამოწერილია 200 ცალი გაზ. „მუშა“. მოწყობილია წიგნთსაცავი და სამკითხველო.

კოლექტიური ხელშეკრულებანი.

სენაკის სამაზრო პროფბიურო ხელმძღვანელობდა საქ. პროფკავ. მე-3 ყრილობის დადგენილებით ხელფასის კოლექტიური ხელშეკრულობის გზით მოწესრიგების შესახებ. ახლად დადებული კოლექტიური ხელშეკრულება ეხება 200—მუშა-მოსამსახურეს. პროფბიურო ყოველ ღონისძიებას ხმარობს ყველა საწარმოებში და დაწესებულებებში კოლექტ. ხელშეკრულების დასადებად.

სახელმწიფო მინიმუმის რაოდენობის შემცირების მიუხედავად, საბჭოთა მოსამსახურენი ძველ ხელფასს ღებულობენ ერთი თვის დაგვიანებით გასული თვის ინდექსის მიხედვით, რის გამოც ჰკარგავენ ხელფასის 60—70 პროცენტს. ეს გარემოება იწვევს უკმაყოფილებას საბჭოთა მოსამსახურეებში, რომელნიც საშინელ ნივთიერ სივიწროვეს განიცდიან.

შრომის დაცვა.

შრომის დაცვის სფეროში უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა მეტად მოიკოჭლებს, რის მიზეზად სამაზრო პროფბიურო ვერ ჩაითვლება. ეს მოვლენა უმთავრესად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რამოდენიმე თვის წინად დაიხურა შრომის ბირჟის ადგილობრივი განყოფილება; რასაც შედეგათ მოჰყვა სრული ქაოსი შრომის ბაზარზე და მუშა-მოსამსახურეთა ექსპლოატაცია ყველგან, მხოლოდ სამაზრო პროფბიუროსა და შრომის ინსპექტორის ენერგიული ღონისძიების საშუალებით მოსახერხებელი შეიქნა ერთგვარი გარკვეული ხაზის აღება მშრომელთა მიღებისა და დათხოვის საქმეში და რამოდენიმედ ბოლო მოეღო ფართედ გავრცელებულ ექსპლოატაციას.

საკონფლიქტო ორგანოები.

სენაკის მაზრის მუშათა ერთ-ერთ სამწუხარო ნაკლათ ჩაითვლება ის, რომ მაზრაში არ არის საკონფლიქტო ორგანოების მოწესრიგებული აპარატები, უპირველესად ყოვლისა არ არის შრომის სასამართლო, რომლის საჭიროება მაზრის ცხოვრებაში დიდია. აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში ადგილი ჰქონდა 20 კონფლიქტს. უმთავრესად იმ გარემოების გამო, რომ შრომის სასამართლოს ქუთაისის სესია ზემოხსენებულ პერიოდში სენაკში არ ჩამოსულა და ეს საქმეები დღემდე არ გარჩეულა. ეს არანორმალური მოვლენა და საკონფლიქტო ორგანოების მოქმედება უკმაყოფილებას იწვევს მუშა-მოსამსახურეებში. საჭიროა ამ საკითხის მოწესრიგებას ყურადღება მიაქციოს იუსტიციის და შრომის სახ. კომისარიატებმა.

კავშირის ფინანსები.

კავშირის ფინანსებს შედარებით გამოკეთება ემჩნევა. პროფორგანიზაციებისგან მიღებულ ღონისძიებათა წარმატება სავსებით დამოკიდებულია კავშირის წევრთა ნივთიერ მდგომარეობაზე. მუშების სამთვიანი დავალიანების პირობებში, ძნელია პერსონალურ წევრობაზე გადასვლა და ამის გამო მოუხერხებელი ხდება ფინანსების გაჯანსაღება.

მეცნიერება და ტექნიკა

დირიჟაბლები საჰაერო მიმოსვლისათვის.

ევროპიდან ამერიკაში მგზავრობა ატლანტიის ოკეანეთი ხუთ დღეს მოითხოვს. ყველაზე სწრაფლმავალი გემი ევროპაში ამჟამად არის „მურიტანია“, რომელიც საათში აკეთებს 47 კილომეტრს (44 ვერსი). უკანასკნელი გამოანგარიშებით ეს სისწრაფე მაქსიმალურია. საქმე იმაშია, რომ დიდი გემებისათვის სისწრაფის 2—3 კილომეტრით გადიდება მოითხოვს ამ გემების მამოძრავებელთა სიძლიერის სათანადო გადიდებასაც. ასე მაგალითად, რომ გემმა საათში გაიაროს 53 კილომეტრი (48 ვერსი და 339 საჟენი), საჭიროა, რომ მისი მამოძრავებელი იყოს არა 95.000 ცხენის ძალის, როგორც მაგალითად „მავრიტანია“-ზეა, არამედ 185.000 ცხენის ძალის. ამ მანქანების წონა თავისი 64 ორთქლის ქვაბით მაშინ იქნება 12.000 ტონა (768.000 ფ.) 8200 ტონას (557.600 ფ.) ნაცვლად. მამოძრავებლების გადიდება თავის მხრივ მოითხოვს გემის გადიდებასაც. გარდა ამისა გაიზრდება სათბობი მასალის ხარჯვაც თითქმის ორჯერ („მავრიტანიას“ მაგალითზე 4000-დან 7700 ტონამდი). ყველა ეს ხარჯები და უხერხულობა დაბოლოს სრულიად არ იქნება გამართლებული მიღებული შედეგებით.

ევროპასა და ამერიკას შორის ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა კი მოითხოვს მეტ სისწრაფეს მიმოსვლისა და ფოსტის გადაგზავნისათვის. ერთის შეხედვით ამ მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი არის, აეროპლანები, მაგრამ საქმე იმაში არის, რომ მიუხედავათ ავიაციის არაჩვეულებრივათ განვითარებისა, ასეთ დიდ მანძილზე და ისიც ოკეანეთი, სადაც არავითარი დასასვენებელი პუნქტები, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, არ არის, შეუძლებელია რეგულიარული მიმოსვლის მოწყობა.

ამის შემდეგ მიმართეს დირიჟაბლებს. ამჟამად გერმანიაში არის პროექტი დირიჟაბლისა, რომლის სიგრძე იქნება 250 მეტრი (დაახლოვებით ერთი მეოთხედი ვერსი), 9 ოთხას ძალიანი მამოძრავებლის საშუალებით ის გაივლის საათში 115 ვერსს, წაიყვანს 40 მგზავრს და წაიღებს 720 ფ. ბარგს. ამერიკასა და ევროპას შორის მანძილის გასავლელად დირიჟაბლებს დასჭირდება იმის ნახევარი დრო, რაც გემს სჭირდება.

განზრახულია 5 ასეთი დირიჟაბლის აგება ევროპასა და ამერიკას შორის მიმოსვლის მოსაწყობათ.

დირიჟაბლები აშენებული იქნება ლექხერსტში (ამერიკა). სახელოსნო, სადაც დირიჟაბლები უნდა ააშენონ, წარმოადგენს უდიდეს დარბაზს მთელ მსოფლიოში: მისი სიგრძე უდრის 246 მეტრს (115 საჟენი), სიგანე—80 მეტრს (37 ნახევარი საჟენი) და სიმაღლე—60 მეტრს (28 საჟენი).

ყველაზე უდიდესი გემი მსოფლიოში.

ასეთი გემი არის ამჟამად „მაჟესტიკ“. 1913 წელს ყველაზე უდიდესი გემი იყო „იმპერატორ“, 1914 წელს—„აკვიტანია“. ორივე გემის სიგრძე ცოტათი აღემატება 128 საჟენს. შემდეგ პირველობა მიიღო გემმა „ფატერლანდ“ (ახლა „ლევიაფან“), რომლის სიგრძე უდრის 950 ფუტს (135 ნახევარ საჟენს). ეს გემი ეკუთვნის ამერიკელებს. როცა იფეთქა მსოფლიო ომმა „ფატერლანდ“ ნიუ-იორკის ნავთსადგურში იმყოფებოდა, „ბისმარკი“-ს აგება კი დამთავრებული არ იყო. ომის დამთავრების შემდეგ ნადავლის გაყოფის დროს „ბისმარკი“ ერგო ინგლისს და ეწოდა „მაჟესტიკ“. „მაჟესტიკ“-ის სიგრძე უდრის 956 ფუტს (ას ოცდა თექვსმეტ ნახევარი საჟენი).

„მაჟესტიკ“-ის ტონნაჟი უდრის—56.000 ტონას, სისწრაფე—40 ვერსი საათში. გემი შესდგება ცხრა სართულისაგან, შვიდი სართული დათმობილი აქვს მგზავრებს. მგზავრების განყოფილება განცვიფრებას იწვევს როგორც თავისი გრანდიოზულობით და მორთულობით. მთავარი რესტორანი იტევს 652 კაცს, მას აქვს 14 საჟენი სიგანე, 17 არშინი სიგრძე და 12 საჟენი სიმაღლე, იმ შემთხვევაში თუ რესტორანი ვერ დაიტევს ყველა მსურველს, იქვე არის მეორე დარბაზი 200 კაცისათვის. დასასვენებელ ოთახის, რომელსაც აქვს შუშის ჭერი და ნიგვზის კედლები, სიგრძე არის—11 საჟენი, სიგანე—3 საჟენი. ყველაზე შესანიშნავი „მაჟესტიკ“-ზე არის ძველი რომაული (პომპეის) აბანოები. კედლები აბანოებს მარმარილოსი აქვს და მოჩუქურთმებულია. შუაში მოთავსებულია დიდი აუზი. გარშემო კი ოსმალური აბანოები და ელექტრონის ვანები. „მაჟესტიკ“-ს შეუძლია გადაიყვანოს 4100 მგზავრი. მგზავრებისათვის არის 1,245 ცალკე სენაკი; ამათგან—472 პირველი კლასის. მეორე და მესამე კლასის მგზავრებს აქვთ ცალკე სასადილო, დასასვენებელი და თამბაქოს მოსაწევი ოთახები, ლამაზათ მორთული.

გათბობა გემზე ორთქლის არის, პირველი კლასის სენაკებს ათბობენ აგრეთვე ელექტრონითაც, თითეულ მგზავრს თავის სურვილისამებრ შეუძლია დაიჭიროს სითბო ოთახში.

ქრონიკა

— **ჟურნ. „რევოლიუციის მატიანე“ № 4.** რედაქციამ მიიღო ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“, რომელიც შეიცავს 315 გვერდს. შიგ მოთავსებულია შემდეგი განყოფილებები; ისტორიული წერილები, მოგონებები, ავტობიოგრაფიები, რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნას, პარტიული არქივი, ტრიბუნა.

— **სასცენო ხელოვნების ინსტიტუტი.** საქ. სახ. კომ. საბჭომ განათლების კომისარიატის მოხსენების თანახმად. დაადგინა ტფილისში დაარსოს სასცენო ხელოვნების ინსტიტუტი და სთხოვს ა. | კ. სახ. კომისართა საბჭოს აღნიშნული ინსტიტუტი ჩარიცხოს სახელმწიფო მომარაგებაზე. ხარჯთ-აღრიცხვის და შტატის შედგენა დაევალა ამხ. დ. კანდელაკს, გ. ვაშაძეს და ვ. სვიმონიშვილს.

— **დახმარება სახელმწიფო გამომცემლობას და საქ. მუზეუმს.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა სახ. ბანკს დახმარების სახით სახელმწიფო გამომცემლობას და საქ. მუზეუმს მისცეს 2,500 ჩერვონეცი.

— **სახ. დაწესებულებების სათბობ მასალით მომარაგება.** საქ. სახ. კომ. საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ა. | კ. სახ. კომ. საბჭოს, 1923—24 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში, სახელმწიფო დაწესებულებებს, საავადმყოფოებს, გამასწორებელ სახლებს, მიცეთ სათანადო თანხა სათბობ მასალის შესაძენათ.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 15 ოქტომბერს აღრიცხვაზე (გამოცხადდა—547, ახლად ჩაეწერა—200, გაიგზავნა სამუშაოზე—109.

— **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ნაწერების გამოცემა.** სახელმწიფო გამომცემლობამ გადასწყვიტა გამოსცეს ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ნაწერები შემდეგი სახელწოდებით; „მიწა“ წიგნში მოთავსებული იქნება 8 მოთხრობა.

— **შრომის კომისარიატში.** საქ. სახალხო კომისართა საბჭომ შრ. სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრად დაამტკიცა ამხ. ცომაია.

— **ტყავეულობის საქ. საზღვრებიდან გადატანის აკრძალვა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ უმაღლეს მეურნეობის საბჭოს დადგენილების თანახმად, დაადგინა აკრძალოს საქ. საზღვრებიდან ტყავეულობის გატანა.

— **პოლიტხელთა კურსებზე.** ოქტომბრის დამლევს მოხდება გამოსაშვები გამოცდები ქართულ ჯარის პოლიტხელთა კურსანტების.

— **სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში.** 22 ოქტომბრიდან სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში (ალექსანდრეს ბაღი, ყოფილი პუშკინის სახელობის სამკითხველო, მესამე სართული) იწყება მეცადინეობა მოზრდილთათვის ახლათ გახსნილ სამაგალითო-საჩვენებელ სკოლაში.

შემთხვევები

— გაქცეულ პატიმარის შეპყრობა. 13 ოქტ. შეპყრობილ იქნა პატიმარი შალვა გოცირიძე, რომელიც მე-10 რაიონის საპატიმროდან გაიქცა 6 სექტემბერს.

— ქურდობა. 13 ოქტ. გაქურდულ იქნა ა—კ. მომარაგების კომისარიატის კაბინეტი, ეჭვით შეიპყრეს შიგრიკი გაბრიჩიძე.

— დაჭრა. 13 ოქტ. ღამის 1 საათზე ბაღ „ახალ შრომში“ შალვა ჩხეტიამ რევოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა მალაქია ანთელავა და პავლე კავჟარაძე, რომლებიც გადაგზავნილნი იქნენ საავადმყოფოში.

— ქურდების შეპყრობა. 13 ოქტ. შეპყრობილ იქნა ნიტენკო სხვადასხვა ქურდობისათვის.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„პიკის ქალი“.

დებიუტები გათავდა ახალ დრამატიულ ტენორის (ჩვენის აზრით ლირიულ დრამატიულის) მოქ. ევლახოვის გამოსვლით.

მსახიობი მღეროდა მოსკოვის სახელმწიფო დიდ თეატრში. რა თქმა უნდა, უკანასკნელი დასკვნის გამოტანა მოქ. ევლახოვის არტისტიულ ფიზიონომიაზე პირველ დებიუტის შემდეგ ძნელია, მაგრამ ერთი აშკარაა: მოქ. ევლახოვი მეტად მნიშვნელოვან საოპერო ძალას წარმოადგენს.

მსახიობს დიდი ხმა აქვს მშვენიერ მაღალ რეგისტრებით, რამოდენიმეთ დახშულ ტემბრით საშუალო და დაბალ რეგისტრებში. მაგრამ სჩანს მშვენიერი სკოლა; სიმღერაში ბევრია ტემპერამენტი და მხატვრულათ დამთავრებული სახეები; ფრაზიროვკა საუცხოვოა. რაც უფრო ძვირფასია მსახიობში, ეს ის, რომ მსახიობი ამა თუ იმ სცენას იწყებს ნახევარ ტონებში და შემდეგ თანდათან ანვითარებს ვოკალურ ხმოვანებას და ინტუიციას, რითაც იპყრობს მსმენელს. ეს ამტკიცებს მომღერლის არტისტიულ მგრძნობიარობას. შესრულების სუსტი ადგილია—კანტილენის არასაკმარისობა.

გერმანის პარტია დეტალურათ არის დამუშავებული მოქ. ევლახოვის მიერ. არის მრავალი მხატვრული მომენტები. მოქ ევლახოვის განსახიერებაში გერმანი მანიაკია, ის მთლიანათ შეპყრობილია აკვიატებულ იდეით, მაგრამ მას დროგამოშვებით აქვს ნათელი მომენტებიც. მას უყვარს ლიზა, მაგრამ ეს სიყვარული არ არის მიზანი, დროგამოშვებით გერმანი მაინც გულწრფელია თავის გრძნობაში.

მშვენიერია მთელი პირველი სცენა ქუხილის დროს, კარგია აგრეთვე სცენა ლიზასთან (აქ სასურველია მეტი კანტილენა). მეტად მოფიქრებულია სცენა ბალზე. კარგია სცენა მოხუცებულ გრაფის ქალთან. სცენას ყაზარმაში მოქ. ევლახოვი იწყებს კარგათ, მაგრამ მკაფიოთ ვერ მიჰყავს ის. ის მეტისმეტ ფაცი-ფუცშია და მთელი სცენა რაღაც უფერული გამოვიდა. მეტად ლამაზია სცენა ქაღალდის სათამაშო სახლში ცვალებადი განწყობილებით უკანასკნელ არიოზოს შესრულების დროს, მსახიობს მშვენიერი სცენიური გარეგნობა აქვს, ის პლასტიურია და მშვენივრათ უჭირავს თავი სცენაზე, მსახიობი ყოველი მოქმედებით უფრო და უფრო იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას.

საბოლოოთ ვრწმუნდებით, რომ მოქ. პანკრატოვას სახეში ჩვენ გვყავს ევროპიულ მასშტაბის მომღერალი ქალი ლიზას პარტიის შესრულება ვოკალურის მხრივ მეტად მხატვრული იყო. დიდი ხანია ასე კარგათ არ ყოფილა შესრულებული ეს პარტია ჩვენს საოპერო სცენაზე.

პარტიის დრამატიული გადმოცემა მეტად მოფიქრებულია, მხოლოდ უფერული იყო გარეგნული გამოსახულება შეუფერებელ კოსტიუმის გამო. მსახიობმა დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში.

მხატვრულათ იყო შესრულებული მოხუცებულ გრაფის ქალის პარტია მოქ. რებონეს მიერ; განსაკუთრებით კარგია სცენა საწოლ ოთახში. კარგია გერმანთან შეხვედრის ყველა სცენები—შიში მის წინაშე წინასწარმეტყველების გამო.

მოქ კრიჟანოვსკიმ მხატვრულათ შეასრულა თავის არია სცენაში ლიზასთან; როგორი ლამაზი ბარიტონი აქვს მსახიობს და როგორ მგრძნობიერათ მღერის ის. როგორი დამთავრებული ფრაზიროვკაა. გარეგნული სახე უეჭველათ ლამაზია. კარგათ იყო შესრულებული კანონიც (დუეტი და capella) პირველ მოქმედებაში.

გრაფის პარტია მეტად მაღალია ბანისთვის—და ამიტომ მისი შესრულება მოქ. საბინინის მიერ არ შეიძლება დამაკმაყოფილებლათ ვიცნოთ. სამწუხაროა ნიჭიერ მსახიობის ხილვა მისთვის შეუფერებელ როლში. გაუგებარია რისთვის ჩააბარეს ეს პარტია ბანს, როდესაც დასში არის მთელი რიგი ბარიტონებისა.

დადგმა წინანდებურია—კარგი, მაგრამ დაშვებული იყო ერთი დიდი შეცდომა: მოქმედება სწარმოებს ზაფხულში, ამ დროს კი გრაფის ქალის საწოლ ოთახის ფანჯრიდან მოსჩანს ზამთრის პეიზაჟი.

ეს დაუშვებელია.

სცენაში საზაფხულო ბაღში საჭირო ბავშვების დაწყნარება, რომელნიც მეტად აჭარბებდენ რეალიზმისაკენ მისწრაფებაში, მათი ფაციფუცი და ხმაური ხელს უშლის სიმღერას.

კარგები იყვნენ თავიანთ ეპიზოდიურ პარტიებში მოქ. კურბატოვი და დემიანენკო.

გრაფის ქალის აჩრდილის გამოჩენის სცენა ვერ ახდენს სათანადო შთაბეჭდილებას, აჩრდილი ძალიან ჰგავს ცოცხალ ადამიანს

მოქ. ფალიაშვილს მშვენივრათ მიჰყავს ოპერის საორკესტრო ნაწილი, მკაფიო ნიუანსიროვკითა და ფრაზიროვკით (სარაბანდა ლიზასა და გერმანის სცენაში და ფინალის სცენა).

მუსიკოსი.

დემოკრატიული პარტიის დაშლა

კვირას, 14 ოქტომბერს, ქ. ტფილისში შესდგა საქარ. დემოკრ. პარტიის ტფილისის რაიონის ხელმძღვანელ ორგანოების წარმომადგენელთა კრება მთავარი კომიტეტის წევრის ნიკო კაიშაურის თავმჯდომარეობით. დაესწრენ კომიტეტების წევრები: ცენტ. კომიტეტის, ქ. ტფილისის, მისი რაიონების, ახალგაზრდების ორგანიზაციისა და ტფილისის, ბორჩალოს და დუშეთის მაზრებისა კრებამ აირჩია შემდეგი დელეგატები პარტიის ყრილობაზე, რომელიც მოწვეულია ქ. ტფილისში ა. თ. 28.

ქ. ტფილისიდან: ამირაჯიბი ირაკლი, გველესიანი იოსები, სიორიძე კოტე, გორდელაძე ერასტი, ყიფიანი სვიმონი, საგინაშვილი ალექსანდრე, კაიშაური ნიკო და მაჭავარიანი ალექსანდრე; ბორჩალოს მაზრიდან სვიმონიშვილი კოტე, დუშეთის მაზრიდან თოფაძე ანდრია, ტფილისის მაზრიდან თაქთაქიშვილი შალვა, სტუდენტებისა და ახალგაზრდათა ორგანიზაციებიდან: გვასალია ალექსანდრე, ვაშაკიძე ბესარიონი, შონია მიხეილ.

—

მოქ. რედაქტორო, ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი:

სავსებით ვიზიარებ საქართველოს დემოკრატ. პარტ. ცენტრ. კომიტეტის დეკლარაციას, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ № 180—და ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლოთ მიმაჩნია, რომ არსებულ პირობებში სავსებით მოისპოს პოლიტიკური მუშაობა ხსენებულ პარტიისა.

შალვა ივანეს ძე თაქთაქიშვილი.

ჩვენი თეატრის ბედ-იღბალზე

II

როგორი უნდა იყოს რეპერტუარი.

არ არსებობს ეროვნული თეატრი გარეშე ეროვნულ დრამატურგიისა.

ყველა ერში იმდენათ არის განვითარებული თეატრი, რამდენადაც განვითარებულია თვით დრამატიული მწერლობა.

ამიტომ ყოველი ეროვნული თეატრის საძირკველი არის საკუთარი დრამატურგია.

საკუთარი სულის შემოქმედებაში უნდა ჰპოვებდეს პირველ ნაკადს თავისი არსებობისას.

საკუთარ სამჭედლოში უნდა იყოს გამოკვერილ დაფოლადებული ეროვნული თეატრის მომავალი.

და მართლაც საკუთარი დრამატურგიის გარეშე წარმოგიდგენიათ რომელიმე თეატრი?

რაც უნდა თვალ-მარგალიტას სადარი იყოს ნათარგმნი დრამატურგია, იგი მაინც არ ჩაითვლება ეროვნული თეატრის საფუძვლად.

სამაგიეროდ რაც უნდა სუსტი იყოს საკუთარი დრამატურგია, იგი ყოველთვის არის დასაწყისი საკუთარი თეატრის არსებობისა.

მე არ მინდა ევროპაში გავიქცე მაგალითებისათვის.

ავიღოთ ჩვენივე თეატრი.

წესიერი არსებობა ქართულმა თეატრმა დაიწყო 1852 წლიდან. მაგრამ განა იმიტომ, რომ სათეატრო შენობა იშოვეს და ვარანცოვმაც ჯიბე გაუხსნა? არა. არამედ იმიტომ, რომ გიორგი ერისთავმა სული ჩაუდგა მას თავისი საკუთარი პიესებით.

არც მსახიობი, არც რეჟისორი არ კმარა.

უმთავრესია ის მწერალი-დრამატურგი, რომელიც გადასცემს მსახიობს თავისი ნიჭის განსახიერებას და მსახიობმა კი უნდა გააცნოს იგი ხალხს ცხოვრების განამდვილებულ სახეებით და მოქმედებით.

რაც უნდა ნიჭიერნი იყვენ მსახიობნი, რეჟისურაც—დიდებული, იგინი ეროვნულ თეატრს ვერ შექმნიან. ამისთვის აუცილებელია საკუთარი დრამატიული მწერლობა.

როცა რომელიმე თეატრი იმუშავებს მომავალ სეზონის რეპერტუარს პირველ ყოვლისა ის უნდა დაემყაროს ჯერ საკუთარ დრამატიულ ნაწერებზე და მხოლოდ შემდეგ მიმართოს თარგმანს მისდა შესავსებად.

ის ხალხი, რომელსაც უყვარს თეატრი, თვითანავე უნდა ჰქმნიდეს საკუთარ დრამატიულ მწერლობას.

თუ არა აქვს ეს მწერლობა, სჩანს თეატრის მოთხოვნილება ჯერ არ გამჯდარა მის ძვალ რბილში.

და თუ არ არის ეს მოთხოვნილება, მაშინ თარგმნილის დრამატურგიით ვერ შექმნით სიყვარულს თეატრისას.

III

ჩვენი ხალხი და თეატრი.

ჩვენს ხალხს სანახაობა ძალიან უყვარს.

ყველაზე მჭიდრო კავშირი თეატრსა და ჩვენ ხალხ შორის იყო თვითმპყრობელობის დასამარებამდის.

თეატრი—ეს იყო ერთად ერთი კერა, სადაც გაისმოდა ქართული სიტყვა.

შემდეგ მაშინ იყო დროებასთან საუცხოვოდ შეწყობილი დრამატურგია“.

„გაყრა“, „დავა“, „მზის დაბნელება“, „სამშობლო“, „და-ძმა“, „ძუნწი“, „ხათაბალა“, „პეპო“, „ავაზაკნი“ და ცაგარლის კომედიები.

ამას ზედ დავურთოთ, თითქოს ბედისაგან საგანგებოდ შექმნილი რაზმი საუკეთესო მსახიობებისა:

ლადო მესხიშვილი, მესხი, ყიფიანი, აბაშიძე, გაბუნია, საფაროვი და სხვანი.

ყველა ამან შექმნა გასაოცარი მთლიანობა ქართულის თეატრისა.

შემდეგ ქართველმა ხალხმა მოიპოვა თავისი ეროვნული უფლებანი თვით ცხოვრების ასპარეზზე.

ძველი თეატრი ისევ ძველ დონეზე დარჩა. ხალხმა განიცადა რევოლიუცია, როგორც ყველაფერში, აგრეთვე გემოვნებაშიაც.

ქართულ თეატრს წინ დაუდგა ქართველი ხალხის მოთხოვნილება: დროებასთან შეფარდებული, წმინდა მხატვრულ ხელოვნური.

მხოლოდ აქ გამოაშკარავდა, რომ ქართული თეატრი დროებასაც ჩამორჩენია და წმინდა ხელოვნებასაც.

და ცხრაას ჩვიდმეტიდან ჩვენ ვხედავთ ფრიად უცნაურ სურათს:

ეროვნულად და პოლიტიკურად აღდგენილი ქართველი ხალხი და ქართული თეატრი კი—დახურდავებული, ჩამკვდარი, კარებ გამოკეტილი.

იყო პირველი ცდა ვითომ თეატრის განახლებისა გიორგი ჯაბადარის მიერ.

ამას მოუნდა დრამატიული საზოგადოების ქონება, ზოგიერთ სოვდაგართა შეწირულებანი, ცეკავშირის

მუშათა ცხოვრება

„კომუნისტი"-ს მუშკორებს, 18 ამა ოქტომბერს საღამოს 6 საათიდან რედაქციის შენობაში დანიშნულია მუშკორთა „პერერეგისტრაცია". ვინც არ გამოცხადდება, ამორიცხულ იქნება მუშკორთა სიიდან.

მუშის ნაამბობი

(მოგონება)

ვისაც მივანდეთ ნაშრომი,
ვადიდეთ, ვყავით სვიანი,
ბნელ ღამეს ჩამოვაშორეთ
უძლეველით დღენი მზიანი,
ეკლები გამოუკაფეთ,
ფეხ ქვეშ უშალეთ იანი,
ადგნენ, გარს შემოიკრიბეს
სუყველა თავისიანი...
ჩვენ კი იქ არვინ არ ვჩანდით,
აღარცა ჩვენიანები...
მომკეს და გაინაწილეს
ჩვენი ნათესი ყანები.
ვაზი ჩვენ გაგვასხლევინეს
შეგვადგმევინეს სარები,
ყურძნის ჰამითა თვით დასტკბნენ
ჩვენ გვაგლეჯინეს ნარები,
„ღობის მარგილად ჩვენ დაგვრგეს"
თვით ჩაიბარეს კარები...
შემდეგ გაფრინდნენ, წაიღეს
რაც ჰქონდათ დანამალები.
ტკბილი ენითა მოგვხიბლეს,
მით აგვიხვიეს თვალები
თავიანთ ფუფუნებისთვის
გაგვყიდეს პროლეტარები.

მუშკორი გ. შინატეხელი.

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას

გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ შემდეგი: გაზეთ „კომუნისტი"-ს № 234-ში მოთავსებულ იყო წერილი „**არ არის კონტროლი და მეთვალყურე**"-ს სათაურით. გაცნობებთ, რომ ჯანსახკომისარიატის მიერ დანიშნულია საგანგებო კომისია მთავარ საავადმყოფოში უწესრიგობის გამოსარკვევად და შედეგი გამოძიებისა გეცნობებათ გამოსაქვეყნებლად.

საორგ. განყ. გამგე **გოცირიძე.**

ტრამვაის ელექტრონის სადგური

(ქალ. აღმასკომის და ტრამ. დირექციის საყურადღებოდ).

დასახელებულ სადგურის დირექციის საყურადღებოდ გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: სადგურის შენობა ძალიან დიდი ხნის გაუსუფთავებლობისა და ურემონტობის გამო მეტისმეტად შეჭვარტლული და დაჭუჭყიანებულია. ეს გარემოება აქაურ მომუშავე მუშებს აყენებს მუშაობის დროს მეტად არა სასურველ ჰიგიენურ პირობებში, რომელიც მათ ჯანმრთელობას აუცილებლად ემუქრება სხვადასხვა ავადმყოფობით. უსუფთაობა სადგურში, აიხსნება იმით, რომ ამ უკანასკნელად სადგურის წარმოება მაზუთის ნაცვლად ხდება ქვა-ნახშირით, რომელიც შედარებით მეტს ეკონომიას იძლევა წარმოებაში. მოზიდული ქვა-ნახშირი, უადგილობის გამო იყრება სადგურის წინა—შესასვლელ კარებთან და აქ მისი აღების დროს დიდძალი მტვერი შედის სადგურში და აქ ჰქმნის ის ძალიან მძიმე ჰიგიენურ პირობებს მუშებისათვის. ჩვენი მუშები რომ არ მოიწამლონ ამ მძიმე ჰაერით სადგურის დირექციამ დროგამოშვებით მაინც უნდა გაიღოს ხარჯები, რომ შენობა სადგურისა გასუფთავებულ და შეკეთებულ იქნას. ამასთანავე სადგურს არა აქვს ამჟამად ორთქლის მანქანაზე ცილინდრებში სახმარი ზეთი, რის გამო ხმარობენ ავტომობილის ზეთს—„მერკუარი"-სას. მუშების აზრით ეს ზეთი უვარგისია და მავნებელიც ცილინდრებისათვის. ამას გრძნობენ წარმოების სპეციალისტებიც, ხოლო საჭიროა დაჩქარებული ღონისძიებანი საჭირო ზეთის შესაძენად.

მუშკორი **ჩხმელი.**

ეს ასე არ უნდა ხდებოდეს

(სანიტარულ კომისიის საყურადღებოდ).

ტფილისის ზოგიერთი მთავარი ქუჩები დღეს თითქმის მეეტლეთა ბირჟად არიან გადაქცეულნი; ისინი მუდამ ერთ მიჩემებულ ადგილს იჭერიან თავს და მთელი დღე-ღამის განმავლობაში იცდიან, რის გამო ცხენების განავალით და შარდით ბინძურდებიან ქუჩები და საშინელი მყრალი სუნიც ასდის, რომელიც 100—200 ნაბიჯზე მეტს უწევს. ამ მხრივ ყველაზე უფრო მეტ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია „კირკის ქუჩა, გერმანელების ეკლესიის გვერდით, კარლმარქსის მოედანთან, შოთა რუსთაველის პროსპექტზე, ერევნის მოედანზე და სხვა მრავალ ალაგას. ვინაიდან სანიტარული თვალსაზრისით ეს ყოვლად დაუშვებელია, ამისათვის ურიგო არ იქნებოდა, რომ ვისგანაც ჯერ არს, მიექცეოდეს ყურადღება ამ გარემოებას და შესაფერისი ზომებიც იქნას მიღებული.

ხტამბის მუშა ქ. გულიაშვილი.

რკინისგზის მთავარ სახელოსნოში

ა | წ. 8 ოქტომბერს მთავარ სახელოსნოში შესდგა მთავარ სახელოსნოს და მთავარ საწყობის მუშათა საერთო კრება, სადაც გერმანიის თანამედროვე მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კახიანმა. მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო კრებას მსოფლიოში ყველაზე უფრო უკეთესად გაწვრთნილ და შეკავშირებულ გერმანიის პროლეტარიატზე თავდატეხილი კაპიტალიზმის უსაშინელესი რისხვა და გაუკეთა რა ანალიზი მის შედეგებს და გააშუქა მომავალ რევოლიუციის პერსპექტივები, გამოიყვანა ის დასკვნა, გერმანიის პროლეტარული რევოლიუცია მიიღებს მსოფლიო რევოლიუციის ხასიათს, რომელსაც გადამჭრელი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისთვისაც. მასთან ამხ. კახიანი მოუწოდებს მუშებს, რათა მზად იყვნენ საჭიროებისამებრ გერმანელ ამხანაგების დასახმარებლად. კრება ორატორს ტაშის კვრით შეხვდა და მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მთავარ სახელოსნოს მუშები მზად არიან, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვს, იარაღით ხელში ეკვეთნენ გერმანელ პროლეტარიატის მტრებს ისე, როგორც თავის საკუთარ მტერს. რის შემდეგ კრება დაიხურა.

მუშა ივ. ბ—შვილი.

პროფდისციპლინის სისუსტის ერთი ნიმუში

(მედიკოსანშრომის კავშირის საყურადღებოდ)

კრებებზე აუცილებლად მოსვლა და დღის წესრიგის ამოწურვამდე სხდომებზე დარჩენის საჭიროება უკვე დიდი ხანია შეისისხლხორცა ჩვენმა მუშათა მასსამ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პროფდისციპლინის ანბანური ჭეშმარიტება ჯერ კიდევ მიუწვდომელია ზოგიერთ „ფრიად განათლებულ" თანამშრომლებისათვის. მაგალითისთვის შორს არ დაგვჭირდება წასვლა. ამა წლის 8 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულ საზოგადო კრებაზე ჯანმრთელობის კომისარიატში გამოცხადდა მხოლოდ 58 თანამშრომელი, არ გამოცხადდა საპატიო მიზეზების გარეშე—56 კაცი. ამნაირად არ მოსულთა რიცხვი უდრის თითქმის 100 პროცენტს, რაც თავის თავად ფრიად დამახასიათებელია ისეთი „მაღალ კვალიფიციურ" მასსის ინერტობისა, როგორიც არის ჯანმრთელობის კომისარიატის თანამშრომლები.

მაგრამ ეს ნახევარი უბედურება იქნებოდა, რომ მოსული ამხანაგებიც დარჩენილიყვნენ თავის პროფდისციპლინის სიმაღლეზე. ეს კი არ მოხდა. როდესაც კრება შეუდგა დღის წესრიგის მესამე მუხლის განხილვას საქალაქო კონფერენციაზე არჩევნების მოხდენის შესახებ, რისთვისაც ქვორუმი აუცილებლად საჭირო იყო, აღმოჩნდა რომ 22 კაცს ე. ი. გამოცხადებულთა თითქმის ნახევარს, უკვე დაეტოვებია კრება, რის გამო არჩევნების მოხდენა შეუძლებელი შეიქნა და ის გადაიდო შემდეგისათვის. აღნიშნულ შემთხვევამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია დამსწრე ამხანაგებში, რომელნიც პროფდისციპლინის სუსტად მცოდნე ამხანაგების წყალობით, იძულებული გახდნენ გადაედვათ კრება.

ასეთი მოვლენა ფრიად ტიპიურია და სამწუხაროდ ხშირია ჩვენში. საჭიროა ამას პროფორგანოების მხრივ მიექცეს უდიდესი ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე პროფმოძრაობაზე ლაპარაკი სულ ზედმეტი იქნება. ჩემის აზრით, მეტად მიზანშეწონილი იქნება შემდეგი კონკრეტიული ზომების მიღება.

1) მიუხედავათ მოსულთა რიცხვისა კრება აუცილებლად გაიხსნას დანიშნულ დროს დაუგვიანებლად;

2) 15 წუთის შემდეგ კარები მომსვლელთათვის დაიკეტოს;

3) უნდა სწარმოებდეს სასტიკი რეგისტრაცია, მოსულთა, დაგვიანებულთა და სრულებით არ მოსულთა ცალ-ცალკე;

4) ერთჯერ გაფრთხილების შემდეგ, საპატიო მიზეზების გარეშე დაგვიანებულთა და არ მოსულთა გვარები ცხადდება განსაკუთრებულ ადგილზე შავ დაფაზე, ყველასათვის წასაკითხად;

5) განმეორებულ არ მოსვლის შემთხვევაში, არ მოსულთა გვარები ცხადდება პრესაში და საზოგადო კრებაზე, როგორც პროფწესიერების დამრღვეველთა;

6) მესამეჯერ ზედიზედ საპატიო მიზეზის გარეშე არ მოსულთა შესახებ ადგილკომი აღძრავს შუამდგომლობას მათი დროებით, ან სამუდამოდ პროფკავშირის წევრობიდან გამორიცხვის შესახებ;

7) კრების თავმჯდომარეს დაევალოს ისე განსაზღვროს ორატორთა სია, რომ კრებამ დაახლოვებით არ გასტანოს ორ საათზე მეტი.

ამ უკანასკნელ მუხლის სისწორით გატარებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან ის იძლევა სრულ საშუალებას ყველამ წინდაწინ გაანაწილოს საკუთარი დრო ისე, როგორც მას სასურველად მიაჩნია.

მუშკორი ა. ნ.

კარგა ბარაქიანი თანხები. მაგრამ ყოველივე ცდა ამაო გამოდგა.

ჯაბადარიც ერთი ავადმყოფობით იყო შეპყრობილი:

იმას ეგონა, რომ მხოლოდ რეჟისურის განახლებით შექმნიდა მომავალ ქართულ თეატრს და არავითარი ყურადღება არ მიაქცია რეპერტუარს.

ჩვენი თეატრის აღორძინება მან დაიწყო ჩვენთვის სრულიად უცხო თარგმნილი პიესით „სარწმუნოება".

მთელი სამი წელიწადი გამოგვაყრუა, გადაგვაყოლა ამ „სარწმუნოებას".

ბოლოს ყველა დარწმუნდა, რომ ჯაბადარისთანა მერცხლები ქართული თეატრის გაზაფხულს ვერ მოიყვანენ. და ის ყურადღება, რომელიც გამოიჩინა ხალხმა მისდამი—სრულიად ამაო გამოდგა.

შემდეგ მთელი წელიწადი 19—20 სეზონში, ქართული თეატრის ჩამიჩუმი აღარ ისმოდა.

ამის შესახებ მაშინდელი მთავრობის შესარცხვენად ერთი წერილიც კი მქონდა, მაგრამ თითო წერილით განა როდის გაკეთებულა ეგეთი კაი საქმე, რომ მაშინ გაკეთებულიყო!

შემდეგმა წელმაც ასევე უქმად ჩაიარა. და თეატრს დანატრულებული ქართველი ხალხი მხოლოდ „აბესალომ და ეთერი"-თ ატკბობდა თავის გუნებას.

გასაბჭოების დროს ქართულ თეატრს სწორედ რომ ბედი ეწია:

დასი უზრუნველყოფილია ქონებრივათ და ხელში აქვთ საუკეთესო სასახლეც.

ქონებრივად და ტეხნიკურად ჩვენი თეატრის საქმე გამოსწორებულია. მაგრამ იგი მაინც ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.

ვერ ასრულებს, რადგან მას აკლია თავის კერაში ცეცხლი, აკლია ზეშთამბერი ცხოველმყოფელი სული.

ეს არის საკუთარ დრამატურგიიდან შემუშავებული რეპერტუარი.

ლევ. მეტრეველი.

პროვინციაში

გორის განათლების განყოფილების საქმიანობა

გორის მაზრის განათლების განყოფილებამ დიდი საქმიანობა გამოიჩინა: შეაკეთა სოფლის სკოლების შენობები და დაურიგა საკმარისი პარტები. გახსნა სხვადასხვა სოფლებში ახალი პირველ დაწყებითი სკოლები. აღსანიშნავია, რომ ქალ. გორში გაიხსნა ორი ცხრა წლედი და ერთი ხაშურში. სკოლებში მოწაფეთა რიცხვი სჭარბობს არსებულ ნორმას; მოხდა მასწავლებელთა გაწმენდა და დათხოვნილ იქნა 25 მასწავლებლამდე, როგორც გამოუსადეგარნი; მათ მიერ დატოვებული რიგები შეივსო უფრო გამოცდილ, მომზადებულ და ენერგიით სავსე პირებით. აგრეთვე საქმის საჭირო ნიადაგზედ დაყენებისათვის მოხდა გადაჯგუფება სოფლების და გორის სკოლების მასწავლებელთა. გაიხსნა სოფ. ახალქალაქში პროფესიონალური ჭრაკერვის სასწავლებელი.

კორ.—ინ.

ქ. ქუთაისი

თანახმად სოც. უზრუნ. სახალხო კომისარიატის ცირკულიარული მოწერილობისა, 30 ოქტომბერს, სამშაბათს მოწვეულ იქნება გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტის სამაზრო ყრილობა. ყველა თემის გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების საყურადღებოთ ცხადდება, აღნიშნულ დღეს გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ყრილობაზე. ყრილობა გაიხსნება ქუთაისში ინტერნაციონალის კლუბში. ყრილობის დღიურ წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტის მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ. 2. არჩევნები პრეზიდიუმის და მაზრის კომიტეტისა. 3. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა თემის გლეხთა კომიტეტების სამაზრო წარმომადგენლებისათვის სავალდებულოა.

სოც. უზრუნ. ყოფ. სახალხო კომისარიატის, ქუთაისის სამაზრო რწმუნებული: **მ. ბაიჭაძე.**

ინსტრუქტორი: **რიმნიხთაველი.**

კოხნარის თემი (გურია)

კოხნარის თემი მდებარეობს აღმოსავლეთ გურიაში—იმერეთის საზღვარზე. თემში შედის ოთხი სოფელი: ბურნათი, კოხნარა, წიფნარა და ნაკადული. მცხოვრებთა რიცხვი უდრის 800 კომლს. აქ დაარსებულია შემდეგი დაწესებულებანი: შრომის სკოლა, სამეურნეო სასწავლებელი, სამკითხველო, მოხმარებელი საზოგადოება და სოფლის სამმართველო. აღძრულია შუამდგომლობა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გახსნის შესახებ. დამზადებულია მასალა სახალხო სახლის ასაგებად. არსებობს აგრეთვე მინერალური წყალი (აბანო). ზემო ჩამოთვლილი დაწესებულებანი მოთავსებულია ერისთავის ყოფილ „სასახლეში", რომლის ხელში ჩაგდება ეღირსა საზოგადოებას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. „სასახლე" უდრის დაახლოებით 50 ქცევას და წარმოადგენს ბაღს ყოველგვარი ხეხილებით და ყვავილებით შემკულს.

ამოდენა დაწესებულებების ერთს ადგილას თავის მოყრა მაჩვენებელია ადგილობრივი ხელისუფლების და გლეხობის კულტურისაკენ მისწრაფებისა. გაიყვანეს აგრეთვე შარაგზა და შეუერთეს საზოგადო გზას. ყოველივე ამ ხარჯებს ხალხი სიამოვნებით იღებს.

სამაზრო ხელისუფლებას გადაუწყვეტია თემების რიცხვის შემოკლება. ყოვლად დაუშვებელია ისეთი თემის გაქრობა, რომელსაც დიადი მნიშვნელობა ექნება (განსაკუთრებით სამეურნეო სკოლით) არა მარტო აღმოსავლეთ გურიისათვის, არამედ—იმერეთის საგრძნობი ნაწილისათვისაც. ახლო მომავალში იქნება მოწვეული სამაზრო პარტიული კონფერენცია, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საბოლოოდ თემების რიცხვის შემცირების საკითხი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხსენებული კონფერენცია გაითვალისწინებს ყოველის მხრივ საქმის შინაარსს და არ გააქრობს კოხნარის თემს.

უკანასკნელ შემთხვევაში გაგზავნის ადგილობრივად სპეციალურ კომისიას იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელია და მიზანშეწონილი იქნება ამ თემის გაუქმება. კომისია დარწმუნდება, რომ ამ თემის გაუქმება ძალიან შეაფერხებს ადგილობრივ მცხოვრებთა ეკონომიურ და კულტურულ წინმსვლელობას.

თუ მიაწერეს კოხნარის თემი სხვა თემებს, მაშინ ეს ამოდენა ზემოდხსენებული დაწესებულებები დაიშლებიან.

სამწუხაროდ, დღესაც ძველი კუთხური ტრადიციებით გამსჭვალულნი არიან ზოგიერთი პირები მეზობელი თემებისა და სასურველია, საბჭოთა ხელისუფლებამ სამუდამოდ ამოფხვრას იმათი გულის სიღრმიდან ასეთი ზრახვები.

ადგილობრივი.

სოფლები შატილი და არხოტი (ხევსურეთი)

ეს სოფლები მდებარეობენ კავკასიის ქედის გადაღმა, მდ. ასასა და ინგურზე, ყაზბეგიდან 60—70 ვერსის მანძილზე. აღნიშნული სოფლები მოსაზღვრე არიან ქისტებისა და ჩეჩნების. მოსახლეობა უმთავრესად მისდევს მესაქონლეობას; მემინდვრეობას არ მისდევენ, რადგან მოსავალი არ მოდის; ზამთარი ადრე დგება, მოსავალი ვერ ასწრებს მომწიფებას, მოდის თოვლი და აზრობს მას. პური არ მოდის, მოდის მხოლოდ ქერი, რომლიდანაც მეტად შავი პური გამოდის. ერთი თვის წინ მოვიდა ნახევარი არშინი თოვლი, ნათესები გაჰყინა, მცხოვრებლები ნიჩბებითა და წალკატებით ჰმტვრევენ ყინულს და ყრიან თოვლს და ისე აგროვებენ ქერს. მოსავალს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ თოვლმა გააფუჭა.

მოსახლეობის რიცხვი შეადგენს 200 კომლს; სკოლები არ არის, წერა-კითხვა თითქმის არავინ იცის. არ არის სამკითხველო-ბიბლიოთეკები, სარწმუნოება შენახულია, მოსახლეობაში ძლიერია ძველი ტრადიციები.

აღნიშნული სოფლების მცხოვრებლები მეტად შეწუხებულნი არიან ქისტებისაგან. ისინი თავს ესხმიან მათ და ართმევენ საქონელს. საქართველოდან მეტად დაშორებისა და გზების უქონლობის გამო, მცხოვრებლებს სავაჭროთ წასვლა უხდებათ ჩრდილოეთ კავკასიაში, გზაში მათ ხვდებიან ქისტები და სძარცვენ. ქისტებისაგან თავის დასაცავად მცხოვრებლებს საზღვარზე ყავთ თავიანთი ყარაულები.

მცხოვრებლები ნავთისა და მარილის სავაჭროთ დადიან ყაზბეგში; აქაც ისინი მეტად შეწუხებულნი არიან მოხევეებისაგან, რომელნიც გზაზე ესხმიან მათ და სძარცვავენ. ადგილობრივი მილიცია ვერ დგას თავის სიმაღლეზე.

გზები საშინელ მდგომარეობაშია; არავინ ზრუნავს მათ შეკეთებაზე და ახალის გაყვანაზე. არის ისეთი გზებიც, სადაც ერთნაირათ იღუპება, როგორც ცხენები ისე ადამიანები.

საერთოდ ეს კუთხე ძალიან მივიწყებულია. საჭიროა მას ყურადღება მიექცეს.

შინაური

წერილი რედაქციის მიმართ

ა. წ. ენკენისთვეს თქვენი გაზეთის № 204 იყო მოთავსებული „შამილის" კორესპონდენცია იმის შესახებ, თუ რა ხდება მუხრავანის გლაუბერის მარილის სარეწავში. ხსენებულმა კორესპონდენციამ გამოიწვია ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საგანგებო კომისიის დანიშვნა, სამთო განყოფილების წარმომადგენლის ინჟ. ვახნაძის, სამთომადნო პროფკავშირის წარმომადგენლის ამხ. კუპატაძის და კომისიის თავმჯდომარის, უფროსი კონტროლიორ-ინსტრუქტორის, ამხ. ნიკოლაიშვილის მონაწილეობით. კომისიის მიერ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმში წარდგენილ ოქმს ვუგზავნით რედაქციას გასაცნობად*).

ამ ოქმიდან ჩანს, რომ არც ერთი ბრალდება, რომელიც თქვენმა კორესპონდენტმა წარმოუყენა ქარხნის გამგეს ინჟ. მარკუსს და მის თანაშემწეს, ინჟ. ნეფსაძეს, მართალი არ გამოდგა. არც ის არის მართალი, ვითომდა სამთო განყოფილება „უწესოებას" ყურადღებას არ აქცევდა იმიტომ, რომ საჩივარის მიღებისთანავე მუხრავანში საქმის გამოსაძიებლად წავიდნენ პრეზიდიუმის წარმომადგენელი ამხ. ლობჟანიძე, სამთო განყოფილების გამგე ინჟ. წულუკიძე და ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ძნელაძე, რომლებმაც ამ საქმეზედ იგივე დასკვნა გამოიტანეს, როგორც ამხ. ნიკოლაიშვილის კომისიამ.

გამართლდა მხოლოდ ფაქტი ერთი შეტაკებისა ინჟ. ნეფსაძის და საწყობის გამგის ამხ. კვალიაშვილის შორის, როდესაც პირველმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მეორეს, მაგრამ ამის შესახებ კომისია ოქმში თავის აზრს არ გამოსთქვამს, აღნიშნავს მხოლოდ კვალიაშვილის მიერ, „მიუხედავად წასვლის ნებართვის მიუღებლობისა" მაინც ნებადაურთველად სამსახურის მიტოვების და ტფილისში წასვლის ფაქტს.

გარდა ამისა კომისია აღნიშნავს ჯამაგირების, საპნის და ნავთის დარიგების დაგვიანებას და ზოგიერთი მუშათა დაზღვევის და პროცენტული ანარიცხების პირობების შეუსრულებლობას, რასაც კომისია უსაყვედურებს თვით სამთო განყოფილებას, მაგრამ ნამდვილად ეს ფაქტი მხოლოდ უსახსრობით უნდა აიხსნას.

სამთო განყოფილების გამგე ინჟინერი **წულუკიძე.**

---

*) აღნიშნული ოქმი რედაქციამ მიიღო. რედ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 63

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მძიმე ფიზიკურ საქმეზე მომუშავე პირთათვის სასჯელის ვადის ერთი მესამედით შემოკლების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იმ პირს, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა და რომელიც სასჯელს მძიმე ფიზიკური მუშაობით იხდის, შეიძლება სასჯელის მოხდის ვადა ერთი მესამედით შეუმოკლდეს; სასჯელის ვადის შემოკლება შეიძლება იმ სასამართლოს დადგენილებით, რომელმაც განაჩენი გამოიტანა.

2. საპატიმროს კოლეგიის წარდგენილობა სასჯელის ვადის შემოკლების შესახებ სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს განმანაწილებელი კომისიის მეშვეობით და უკანასკნელის დასკვნითურთ.

3. წინა მუხლში აღნიშნული წარდგენილობა სასამართლომ უნდა განიხილოს იმ წესით, რომელიც დადგენილია ვადამდე განთავისუფლებისთვის.

4. მძიმე ფიზიკურ სამუშაოდ ითვლება: სამძიმო ტვირთის გადაზიდვა, ხე-ტყის მოჭრა, მიწის სამუშაო, ღამის სამუშაო და სხვა.

5. იმას, ვინც სასჯელს იხდის სისხლის სამართლის კოდექსის 36 მუხლის „გ" პუნქტში აღნიშნული იძულებითი მუშაობით და ვინც მძიმე ფიზიკურ მუშაობას ეწევა, ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული წესით სასჯელი ერთი მესამედით შეუმოკლდება საპატიმროთა მთავარ სამმართველოს უფროსის წარდგენილობით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წლ. ოქტომბრის 10.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 64

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

დეკრეტებისა და დადგენილებების გამოქვეყნების წესის შესახებ.

1923 წლ. მაისის 26 თარიღით და 41 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-7 მუხლის შესაცვლელად და შესავსებად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

„ყოველი საკანონმდებლო აქტი გამოქვეყნებულ უნდა იქნეს გაზეთ „კომუნისტსა" და „ზარია ვოსტოკა"-ში და ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა გაზეთ „კომუნისტში", უკეთუ თვით აქტის ტექსტშივე აღნიშნული არ არის სხვა ვადა მისი ძალაში შესვლისა და გამოქვეყნების სხვა წესი".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წლ. ოქტომბრის 10.

ტფილისი—სასახლე.

ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. ოქტომბრის 8-ის განმარტება.

ვინაიდან შრომის სახალხო კომისარიატში შემოდის შეკითხვები იმის შესახებ, თუ რა წესით დაჯილდოვებული უნდა იყვნენ ექსპერტები და სხვადასხვა უწყებათა და უწყებათა შორისო. კომისიებში მონაწილეები, ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატი ამით განმარტავს, რომ:

1. თუ აღნიშნული სხდომები იმართება არა სამუშაო დროს, ჯილდო მათში მონაწილეობისათვის გამოიანგარიშება ზედმეტ საათების დაჯილდოების საზოგადო წესის მიხედვით და მიეცემა იმ დაწესებულების მიერ, რომლისგანაც პირი მივლინებული არის და შედის მის ხელფასში, რომელიც განისაზღვრება შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ყოველ თვეში ცალკე დაწესებულ ხელფასის მაქსიმუმით.

სხდომის ხანგრძლივობა ირკვევა კომისიის თავმჯდომარის მიერ გაცემულ ცნობით.

სხდომის მოწვევის დრო წესდება იმ დაწესებულებების უფროსების შეთანხმებით, რომელნიც დელეგატად ჰგზავნიან სხდომაზე თავის წარმომადგენლებს.

2. დებულება ესე არა ვრცელდება პასუხისმგებელ მომუშავეებზე, რომელთა მუშაობა გარკვეულ დროით არ განისაზღვრება და ამის გამო განსაკუთრებულ ჯილდოს არ იღებენ, აგრეთვე იმ პირებზე, რომლებთანაც დადებულია სპეციალური ხელშეკრულება, რომლის ძალით მათი მუშაობა გარკვეული დროით არ განისაზღვრება.

3. როდესაც პირი მოწვეულია სხდომაზე არა როგორც დაწესებულების წარმომადგენელი, არამედ როგორც უცხო,—მცოდნე იმ საკითხებისა, რომელნიც უნდა გადაწყდენ კომისიაში (ექსპერტი), მისი გასამრჯელო ირკვევა დაინტერესებულ უწყების და ექსპერტის შეთანხმებით, ამასთანავე მისი გასამრჯელო არ შედის მის ხელფასში და არ ისაზღვრება მაქსიმუმით.

ა | კ. შრომის სახალხო კომისარი იაკუბოვი.

საერთო-საორგან. განყ. გამგე ორლოვ-მალახოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი.** იუწყება, რომ ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბის შენობაში გაიმართება საქ. კომპარტიის მუსლიმან-წევრთა, ახალგაზრდა კომკავშირის წევრთა და უპარტიო ამხანაგების საზოგადო კრება. დღის წესრიგში: მოხსენება გერმანიის ამბების შესახებ.

წინადადება ეძლევა ყველა ამხანაგებს გამოცხადდენ კრებაზე საღამოს სრულ 5 საათზე.

მდივანი ვართაპეტიანი.

— 18 ოქტომბერს, საღამოს 7 ს. განათლების მუშაკთა სახლში შესდგება გეოგრაფიის და ბუნებისმეტყველების ქვესექციის წევრთა კრება.

— 19 ოქტომბერს, საღამოს 6 ს. შესდგება ქართულ ენის ქვესექციის წევრთა კრება.

ამავე დღეს, საღამოს 7 ს. შესდგება კრება ფიზ-კულტურის ქვესექციაში მსურველ მომუშავეთა.

ორშაბათს, 22 ოქტომბერს, საღამოს 7 ს. შესდგება გალობა-მუსიკის ქვესექციის წევრთა კრება.

— ა. წ. 21 ოქტომბერს, კვირას, საღამოს 6 ს. განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) დანიშნულია საქ. განათლების მუშაკთა—კავშირთან არსებულ სამეცნიერო მუშაკთა სექციის საზოგადო კრება.

დღის წესრიგშია:

1. ბიუროს მუშაობის ანგარიში ა | წ ივნისიდან-ოქტომბრის თვემდე.
2. დელეგატის გაგზავნა მოსკოვში სამეცნიერო მუშ. სექციის ყრილობაზე.
3. მიმდინარე საკითხები.

— **საქარ. კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4-ე რაიკომი** იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის აღმასკომის ყოფ. სათათბიროს დარბაზში შესდგება სადელეგატო კრება მე-4-ე რაიონის უჯრედების მდივნებთან ერთად.

სავალდებულოა ყველა დელეგატების და მდივნების დასწრება. უჯრედების პასუხისმგებელი მდივნები ვალდებული არიან აცნობონ თავიანთ დელეგატებს მათი დასწრების აუცილებლობის შესახებ.

ვინც 15 წუთით დაიგვიანებს. ჩაითვლება გამოუცხადებლათ.

პასუხ. მგებ. მდივანი ხაცკევიჩი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი აცხადებს, რომ 1923 წლის სრულიად საქართველოს პარტიული აღწერის უკანასკნელ დღეთ დანიშნულია პარასკევი 20 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის წევრები და კანდიდატები, რომელნიც რაიმე მიზეზის გამო არ გაივლიან აღწერას ამ დრომდი, მოხსნილი იქნებიან ანგარიშიდან და გაიგზავნებიან საქართველოს კომპარტიის ცეკას განკარგულებაში. აღწერა იწარმოებს ტფილისის კომიტეტის შენობაში დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდი.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

საალმრ.- სტატ. განყ. გამგე ბარსელოვი.

გურიის სამაზრო მეხუთე კონფერენცია.

— 19 ოქტომბერს მოწვეულია გურიის სამაზრო მეხუთე პარტკონფერენცია.

დღის წესრიგი;

1. საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა 2) მაზკომის, და სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3) ანტირელიგიური პროპაგანდა და ჩვენი მომავალი ტაქტიკა საეკლესიო საკითხში, 4) ანტი-საბჭოთა პარტიების გახრწნა. 5) მაზრის ადმინისტრატიაულად დაყოფა რაიონებად და საბჭოთა არჩევნები. 6) მაზკომის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. 7) მიმდინარე საკითხები. კონფერენცია გაიხსნება 19 ოქტომბერს პარასკევს, დილის ცხრა საათზე.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომი იტყობინება, რომ 14 ოქტომბერს აღარ გაიმართება სტუდენტების და მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა საზოგადო კრება. კრება გადადებულია შემდეგ კვირისათვის 21 ოქტომბრისათვის.

იაჩეიკის მდივანი და სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის საბჭო.

განცხადებები

ივანე მუხელიანი და ვასილ კორძაია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ ძვირფასი, გულითადი მეგობრის

მალაქია ანთელავას

ტრაგიკულ გარდაცვალებას, ამა წლის 1[illegible] ოქტომბერს საღამოს 8 საათსა და 15 წუთს. (48—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ელენტია ბესარიონის ასული, შვილები: ვანო, არისტოკლე და ნადია რამინიშვილები, რძალი კატო გრიგოლის ასული რამინიშვილისა, შვილის შვილები: კოტიკო და ლევანი ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებთ და მეგობართ, რომ ამა წლის 11 სექტემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მღვ. დომენტი ივანეს ძე რამინიშვილის

სულის მოსახსენებლად 20 ოქტომბერს, დღით შაბათს, სოფ. შუქრუთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი. (49—1—1)

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

დღეს, 17 ოქტომბერს, 1923 წ.

ფ ა უ ს ტ ი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

კასა ღიაა 11—3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის დამთავრებამდე.

ადმინისტრატორი: **პუშკოვი.**

სამხატვრო ნაწილის გამგე **ივ. ფალიაშვილი.**

(კრ. 673—1—1)

კვირას, 21 ოქტომბერს

გამოვა პროლეტარულ მწერალთა კავშირის

ყოველ-კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო

გ ა ზ ე თ ი

„ო რ ი ო ნ ი"

გაზეთი იქნება დიდი ფორმატის და საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი, სხვა და სხვა განყოფილებებით. (4—1)

ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილება აცხადებს

შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა ს

ტფილისის მილიციის საჭიროებისათვის მოიჯარადრის მასალიდან 790 შინელის, 160 ნაბდების და 950 წყვილი ფეხსაცმელების დამზადებაზე.

შეჯიბრება დანიშნულია ამა წლის 20 ოქტომბერს, დღის 12 საათ[illegible] განყოფილების სამმართველოს შენობაში (ლ. ლუმბაძის ქ. № 7) ოთახი № [illegible] შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ [illegible] ყოფილებაში ნაჩვენებ მისამართით არა უგვიანეს დღის 2 საათისა ამა [illegible] 19 ოქტომბრისათვის შეკერილი ნიმუშები შინელის, ნაბდების და ფეხ[illegible] მელისა და განცხადებები ღირებულების და შეკვეთილი ტანისამოსის [illegible] ფეხსაცმელების დამზადების დროს აღნიშვნით.

განცხადებები შეტანილ უნდა იქმნეს დალუქულ პაკეტებში, რომელ[illegible]საც უნდა დაურთონ ცნობა მათ მიერ განყოფილების სალაროში 5 ჩერვონეცის შეტანის შესახებ.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ განყოფილებ[illegible] სამნეო ნაწილის უფროსს.

განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი **თაქთაქიშვილი.**

ადმინისტრატიული ნაწილის უფროსი **ახვლედიანი.**

(კრ. 672 2—1)

ს. ს. ს. რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი

აცხადებს, რომ ლოტოზე მისთვის მინიჭებული მონოპოლიის უფლების [illegible]ლით ინიშნება 19 ოქტომბერს

საჯარო ვაჭრობა

ქ ტფილისის სხვა და სხვა რაიონებში 3-4 კლუბში პროცენტების [illegible] რიცხვის საფუძველზე ლოტოს იჯარით გაცემაზე.

ის პირები, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში, აძლ[illegible] ამის შესახებ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარს ამხ. [illegible] რიკს ან მის მოადგილეს ამხ. ცინცაძეს წერილობით განცხადებას დახურ[illegible] კონვერტში შემდეგი წარწერით: „კავკასიის წითელდროშოვანი არმიის [illegible] ლიდების დამხმარე კომისიას 1923 წ. 19 ოქტომბრის საჯარო ვაჭრობი[illegible]თვის". ამ დღისათვის მოხდება კონვერტების გახსნა.

განცხადებას თან უნდა ჰქონდეს დართული ქვითარი სამხედრო დამხმ[illegible] კომიტეტის კასაში 20 ჩერვონეცის რაოდენობით გირაოს შეტანის შესახე[illegible] გირაოს შეტანიდან არავინ არ იქნება განთავისუფლებული. იმ პირთა გ[illegible]რაო, რომელთაც არ ჩაბარდებათ ლოტო, დაუბრუნდება უკანვე შემდ[illegible] საჯარო ვაჭრობის შედეგების გამორკვევისთანავე. იმ პირთა გირაო კი, რომელთაც გადაეცემა ლოტო, დარჩება დახმარების სამხედრო კომისიის კასაში. უფრო დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დილის 9 საათიდან 12 საათამდე (ქ. ტფილისი, რუსთაველის პრ. № 22, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის დახმარების სამხედრო კომისიის შენობაში) აღნიშნული კომისიის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილესთან ამხ. **ლუხტანთან.**

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

(კრ. 674 2—1)

ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს. ტყავეულობის მთავარი

სამმართველო

ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს მაღაზიასთან № 5, სადგურის ქუჩაზე,

გაიხსნა წვრილად სავაჭრო განყოფილება,

სადაც იყიდება ტყავეულობისა და ქეჩის ფეხსაცმელ[illegible] სხვადასხვა ხარისხის, და აგრეთვე ტყავისა და ქეჩის ტან[illegible] საცმელი და ღვედებისა და საგალანტერეიო ნაწარმოებები.

(კრა 670—3—2)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ-არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ, და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მკურნალ[illegible] ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალო აწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელ[illegible]ღვანელობით. ტფილისი, გორდეენოვის ქ. № 20. (1252—26[illegible]

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალ[illegible]

გ. დ. ხ ა ნ ც ი ნ ი ს

მედიცინის ექიმის **ვ. ვ. შენგელიძის**

მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) [illegible] 4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათო[illegible] შაბათობით. ყოველგვარი გამოკვლევანი. კრუზენშტეინის ქუჩა № 1 [illegible] თაველის პრ. კუთხე) ტელ. 18-14. (46—2[illegible]

დაიკარგა არჩილ დავითის ძე გოგლიძეს სახელზე სა[illegible] მოწმობა სამხედრო კომისარიატიდან, მეტ[illegible] საწევრო წიგნაკი, გაცემული თვითმშრომელთა საზოგადოების მიე[illegible] ვალოს გაუქმებულად. (47—

სტამბა „ზარია ვოსტოკას" რუზენშტეინის ქ. № 4.